# სს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ქართული კრედიტი"

**ფინანსური ანგარიშგება**

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნასთან ერთად

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა

2017 წლის 31 დეკემბერს

შინაარსი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ........ 3

**ფინანსური ანგარიშგება:**

მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება ........ 5
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება ........ 6
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება ........ 7
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება ........ 8

**ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები:**

1. ზოგადი ინფორმაცია ........ 9
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი ........ 9
3. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა ........ 5
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები ........ 19
5. წმინდა საპროცენტო შემოსავლები ........ 21
6. სესხების გაუფასურების რეზერვი ........ 21
7. ჯარიმები და საკომისიო შემოსავლები ........ 22
8. პერსონალის ხარჯი ხელფასების და ბონუსების ჩათვლით ........ 22
9. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები ........ 22
10. სარგებელი (ხარჯი) მოგების გადასახადიდან ........ 23
11. ფული და ფულის ეკვივალენტები ........ 23
12. რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგებაში ან ზარალში ასახვით ........ 24
13. გაცემული სესხები ........ 24
14. საინვესტიციო ქონება ........ 26
15. ძირითადი საშუალებები ........ 27
16. არამატერიალური აქტივები ........ 28
17. სხვა აქტივები ........ 28
18. გადავადებული საგადასახადო აქტივი ........ 29
19. მიღებული სესხები ........ 30
20. სუბორდინირებული სესხები ........ 31
21. სხვა ვალდებულებები ........ 32
22. საწესდებო კაპიტალი ........ 32
23. პოტენციური ვალდებულებები ........ 33
24. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა ........ 35
25. წინა პერიოდის რეკლასიფიკაცია ........ 40
26. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან ........ 40
27. ბალანსის შემდგომი მოვლენები ........ 41

T: +995 32 254 58 45
T: +995 32 218 81 88
@ bdo@bdo.ge
www.bdo.ge

ი.თარხნიშვილის ქუჩა 2
ვერე ბიზნეს ცენტრი
0179 თბილისი
საქართველო

**დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა**

სს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ქართული კრედიტის" მენეჯმენტსა და აქციონერებს.

**მოსაზრება**

ჩვენ ჩავატარეთ სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ქართული კრედიტის" თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებისგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

**მოსაზრების საფუძველი**

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში, „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე". ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს" მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის" მოთხოვნებთან და ამასთანავე ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

**ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე**

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს ამის გარდა სხვა არჩევანი.

მართვის უფლებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

**აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე**

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

შპს ბიდიო არის საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც წარმოადგენს გაერთიანებულ სამეფოში რეგისტრირებული გარანტიით შეზღუდული კომპანიის – "ბიდიო ინტერნეშენალ ლიმიტედის" წევრს და შედის ბიდიოს დამოუკიდებელი ფირმების საერთაშორისო ქსელის შემადგენლობაში.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულვებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, გამოვთქვავთ მოსაზრებას რამდენად მიზანშეწონილია მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენება ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში და არსებობს თუ არა მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობები, რაც საფუძვლიან ეჭვს ბადებს კომპანიის შესაძლებლობაზე, საქმიანობა განაგრძოს როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. თუ დავრწმუნდით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებული ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე და თუ ასეთი განმარტებითი შენიშვნა არის შეუსაბამო, გავცეთ მოდიფიცირებული დასკვნა. ჩვენი დასკვნები ემყარება აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. ამის მიუხედავად, სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.
- მოვიპოვებთ საკმარის აუდიტორულ მტიცებულებას კომპანიის ფინანსურ ინფორმაციასა და საქმიანობაზე, რათა გამოვხატოთ მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ მხოლოდ ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მართვის უფლებით აღჭურვილი პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებსა და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

გარიგების პარტნიორი, რომელიც პასუხისმგებელია აუდიტზე, რომლის შედეგებიც ასახულია დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში, არის:

ივანე ჟუჟუნაშვილი

გარიგების პარტნიორი

თბილისი, საქართველო

1 ივნისი, 2018 წელი

**მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება**

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

| | შენიშვნა | 2017 | 2016 |
|---|---|---|---|
| საპროცენტო შემოსავალი | 5 | 8,823,798 | 7,521,047 |
| საპროცენტო ხარჯი* | 5 | (4,206,468) | (3,096,009) |
| **წმინდა საპროცენტო შემოსავალი** | | **4,617,330** | **4,425,038** |
| გაუფასურების რეზერვი | 6 | (312,551) | (691,630) |
| **წმინდა საოპერაციო შემოსავალი** | | **4,304,779** | **3,733,408** |
| ჯარიმები და საკომისიო შემოსავალი | 7 | 578,735 | 652,436 |
| წმინდა მოგება წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულებით შეფასებიდან* | 12 | 56,693 | - |
| პერსონალის ხარჯი | 8 | (2,651,414) | (2,674,316) |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები | 9 | (1,896,200) | (1,876,013) |
| სხვა შემოსავალი, წმინდა* | | 42,227 | 33,199 |
| შემოსავალი საინვესტიციო ქონების გადაფასებიდან და პირველადი აღიარებიდან | 14 | (30,755) | 448,791 |
| კურსთაშორის სხვაობიდან წარმოშობილი ზარალი, წმინდა* | | (117,267) | (40,868) |
| **მოგება დაბეგვრამდე** | | **286,798** | **276,637** |
| სარგებელი (ხარჯი) მოგების გადასახადიდან | 10 | (81,784) | 65,203 |
| **საანგარიშო წლის წმინდა მოგება და სრული შემოსავალი** | | **205,014** | **341,840** |

* წინა პერიოდის რეკლასიფიკაცია შეგიძლიათ იხილოთ 25-ე შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, მენეჯმენტის მხრიდან 2018 წლის 1 ივნისს დამტკიცებულია შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი ______________ გ. ნასყიდაშვილი

ფინანსური დირექტორი ______________ ი. ხორავა

9-41 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ქართული კრედიტი"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

| | შენიშვნა | 31 დეკემბერი 2017 | 31 დეკემბერი 2016 |
|---|---|---|---|
| **აქტივები** | | | |
| ფული და ფულის ეკვივალენტები | 11 | 3,201,345 | 1,068,785 |
| რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება-ზარალში ასახვით | 12 | 907,721 | 1,113,310 |
| გაცემული სესხები | 13 | 35,265,472 | 30,193,905 |
| სხვა აქტივები | 17 | 590,772 | 186,946 |
| საინვესტიციო ქონება | 14 | 2,425,224 | 2,329,228 |
| ძირითადი საშუალებები | 15 | 772,593 | 965,589 |
| არამატერიალური აქტივები | 16 | 121,506 | 137,699 |
| წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი | | - | 105,238 |
| გადავადებული საგადასახადო აქტივი | 18 | 121,020 | 103,052 |
| **მთლიანი აქტივები** | | **43,405,653** | **36,203,752** |
| | | | |
| **ვალდებულებები** | | | |
| მიღებული სესხები | 19 | 36,245,240 | 31,039,389 |
| სუბორდინირებული სესხები | 20 | 1,957,403 | 1,061,084 |
| სხვა ვალდებულებები | 21 | 285,794 | 291,077 |
| **მთლიანი ვალდებულებები** | | **38,488,437** | **32,391,550** |
| **კაპიტალი** | | | |
| საწესდებო კაპიტალი | 22 | 1,110,546 | 1,010,546 |
| სამისიო კაპიტალი | 22 | 2,287,350 | 1,487,350 |
| გაუნაწილებელი მოგება | | 1,519,320 | 1,314,306 |
| **მთლიანი კაპიტალი** | | **4,917,216** | **3,812,202** |
| | | | |
| **მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი** | | **43,405,653** | **36,203,752** |

9-41 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

## კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

| | საწესდებო კაპიტალი | საემისიო კაპიტალი | გაუნაწილებელი მოგება | სულ |
|---|---|---|---|---|
| **ბალანსი 31 დეკემბერი 2015** | 935,546 | 962,350 | 972,466 | 2,870,362 |
| აქციების გამოშვება | 75,000 | 525,000 | - | 600,000 |
| საანგარიშო წლის წმინდა მოგება და სრული შემოსავალი | - | - | 341,840 | 341,840 |
| **ბალანსი 31 დეკემბერი 2016** | 1,010,546 | 1,487,350 | 1,314,306 | 3,812,202 |
| აქციების გამოშვება | 100,000 | 800,000 | - | 900,000 |
| საანგარიშო წლის წმინდა მოგება და სრული შემოსავალი | - | - | 205,014 | 205,014 |
| **ბალანსი 31 დეკემბერი 2017** | 1,110,546 | 2,287,350 | 1,519,320 | 4,917,216 |

9-41 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ქართული კრედიტი"

**ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება**

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

| | შენიშვნა | 2017 | 2016 |
|---|---|---|---|
| **ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან** | | | |
| მოგება დაბეგვრამდე | | **286,798** | **276,637** |
| **კორექტირებები** | | | |
| სესხების გაუფასურების ხარჯი | 6 | 312,551 | 691,630 |
| საგადასახადო ვალდებულებების ანარიცხი | | - | 55,913 |
| ცვეთა და ამორტიზაცია | 9 | 285,460 | 273,695 |
| კურსთაშორისი სხვაობიდან წარმოქმნილი ზარალი | | 117,267 | (40,868) |
| წმინდა მოგება წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულებით შეფასებიდან | | (56,693) | - |
| (მოგება) ზარალი საინვესტიციო ქონების გადაფასებიდან და საწყისი აღიარებიდან | 14 | 30,755 | (448,791) |
| საპროცენტო შემოსავალი | 5 | (8,823,798) | (7,521,047) |
| საპროცენტო ხარჯი | 5 | 4,206,468 | 3,096,009 |
| ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან | 15, 16 | 30,823 | 64,955 |
| ***საოპერაციო საქმიანობიდან გასული ფულადი სახსრები საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში მომხდარ ცვლილებებამდე*** | | **(3,610,369)** | **(3,551,867)** |
| კლება (ზრდა) საოპერაციო აქტივებში: | | | |
| გაცემული სესხები | | (5,826,488) | (5,259,716) |
| სხვა აქტივები | | (217,668) | 78,172 |
| რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგებაში ან ზარალში ასახვით | | 262,282 | (478,880) |
| ზრდა (კლება) საოპერაციო ვალდებულებებში: | | | |
| სხვა ვალდებულებები | | 291,213 | (25,677) |
| ***საოპერაციო საქმიანობიდან გასული ფულადი სახსრები პროცენტებამდე*** | | **(9,101,030)** | **(9,237,968)** |
| გადახდილი პროცენტები | 19 | (3,325,329) | (2,728,663) |
| მიღებული პროცენტები | | 8,001,463 | 6,630,360 |
| ***საოპერაციო საქმიანობიდან გასული წმინდა ფულადი სახსრები*** | | **(4,424,896)** | **(5,336,271)** |
| **ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან** | | | |
| ძირითადი საშუალებების შეძენა | 15 | (103,517) | (143,131) |
| საინვესტიციო ქონების შეძენა | 14 | (131,731) | (256,299) |
| შემოსავალი საინვესტიციო საქმიანობის რეალიზაციიდან | 14 | 4,980 | 5,500 |
| არამატერიალური აქტივების შეძენა | 16 | (3,577) | (84,538) |
| ***საინვესტიციო საქმიანობიდან გასული წმინდა ფულადი სახსრები*** | | **(233,845)** | **(478,468)** |
| **ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან** | | | |
| სესხის დაფარვა | 19 | (44,249,346) | (24,479,612) |
| სესხის მიღება | 19 | 50,538,888 | 27,822,643 |
| აქციების გამოშვებიდან მიღებული თანხა | 22 | 900,000 | 600,000 |
| ***ფინანსური საქმიანობიდან შემოსული წმინდა ფულადი სახსრები*** | | **7,189,542** | **3,943,031** |
| **ფულის და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა (კლება)** | | **2,530,800** | **(1,871,708)** |
| ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში | 11 | 1,068,785 | 1,864,479 |
| კურსთაშორისი სხვაობის გავლენა ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე | | (398,241) | 1,076,014 |
| **ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოსათვის** | | **3,201,345** | **1,068,785** |

9-41 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

## 1. ზოგადი ინფორმაცია

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ქართული კრედიტი (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს სააქციო საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2006 წლის 12 სექტემბერს თბილისში, საქართველო, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 206238800.

კომპანიის საქმიანობის ზედამხედველობა ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ" კანონის საფუძველზე.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა მიკრო და მცირე სესხების გაცემა (რომლის ზედა ზღვარი 2017 წლის დეკემბრიდან არის 100,000 ლარი, აღნიშნულ თარიღამდე კი შეადგენდა 50,000 ლარს) საქართველოს ტერიტორიაზე. 2017 წლის იანვრიდან სესხები ფიზიკური პირებისთვის გაიცემა ლარში.

კომპანიას გააჩნდა 14 სერვის ცენტრი 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, სულხან ცინცაძის 12.

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის აქციონერები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგი სახით:

| აქციონერები | 31 დეკემბერი 2017, % | 31 დეკემბერი 2016, % |
|---|---|---|
| ისტერნ კაპიტალ ეი ეს | 39.78% | 43.62% |
| შპს გრინინვესტ | 17.61% | 19.31% |
| შიფლერი თომას | 8.57% | - |
| სამოქალაქო საზოგადოება „ალეა ექვითი გბრ" | 6.01% | 6.59% |
| იოჰენ ციმერმანი | 6.01% | 6.59% |
| seec GmbH I.G. | 5.42% | 5.95% |
| ხმალაძე ნიკოლოზ | 5.00% | 5.24% |
| ხმალაძე გიორგი | 5.00% | 5.24% |
| კლოვენინგენ ას | 3.85% | 4.22% |
| ენგა ინვესტ ას | 2.74% | 3.25% |
| **სულ** | **100%** | **100%** |

კომპანიის სააქციო კაპიტალის შესახებ დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ 22-ე შენიშვნაში.

## 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

### ანგარიშგების შესაბამისობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში ფასს–ები) შესაბამისად.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები, რომლებიც გამოყენებულია აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში.

### შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გარდა ფინანსური ინსტრუმენტებისა, რომლებიც თავდაპირველი აღიარებისას შეფასებულია რეალური

## 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

ღირებულებით და საინვესტიციო ქონებისა, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდგომ შეფასებულია რეალური ღირებულებით.

კომპანია ოპერაციებს აღრიცხავს და ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ქართულ ლარში (ლარი).

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფასს-ების შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადება მენეჯმენტისგან მოითხოვს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. მსჯელობის საფუძველზე მენეჯმენტმა უნდა გამოიყენოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო შეფასებები.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-4 განმარტებით შენიშვნაში.

**საქმიანობის უწყვეტობა**

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნორიზებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მეწილეებს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისთვის.

## 3. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

**ფინანსური ინსტრუმენტები**

ფინანსური ინსტრუმენტები, მათი კლასიფიკაციის მიხედვით აღირიცხება რეალური ღირებულებით, თვითღირებულებით, ან ამორტიზებული ღირებულებით, როგორც ქვემოთ არის მოცემული.

ქვემოთ მოცემული ტერმინები გამოყენებულია შემდეგი მნიშვნელობებით:

**რეალური ღირებულება** არის თანხა, რომლითაც შეიძლება აქტივი გაიცვალოს ან ვალდებულება დაიფაროს საქმის მცოდნე და გარიგების მსურველ მხარეებს შორის ,,გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით". საუკეთესო რწმუნება რეალური ღირებულების დასადგენად არის ფასი აქტიურ ბაზარზე. აქტიურია ბაზარი, სადაც მოცემული აქტივით ან ვალდებულებით ოპერაციები საკმარისად ხშირად და საკმარისი მოცულობით სრულდება, რაც ფასების შესახებ ინფორმაციის მოპოვების საშუალებას იძლევა მუდმივად. იმ ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება, რომლებიც ივაჭრება აქტიურ ბაზარზე დგინდება შესაბამის აქტივზე ან ვალდებულებაზე დადგენილი ფასისა და რაოდენობის ნამრავლით. აღნიშნულს ადგილი აქვს მაშინაც, თუ ბაზარზე ვაჭრობის ყოველდღიური ნორმა არ არის საკმარისი, რომ მოიცვას მთლიანად გასაყიდად განთავსებული რაოდენობა და შეკვეთების რაოდენობის განთავსებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს ერთეულის კვოტირებულ ფასზე.

**აქტივის თვითღირებულება** არის აქტივის შეძენის ან შექმნის დროს გადახდილი ფული ან ფულის ეკვივალენტების ან სხვა სახის საზღაურის რეალური ღირებულების თანხა და მოიცავს საოპერაციო ხარჯებს.

**ამორტიზებადი ღირებულება** არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი იყო აღიარებული, ნებისმიერი ძირითადი დაფარვის გამოკლებით, პლუს დარიცხული პროცენტი, ხოლო ფინანსური აქტივებისთვის – ჩამოწერილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. დარიცხული პროცენტი მოიცავს საწყის აღიარებაზე გადავადებული ოპერაციის ღირებულების ცვეთას და ნებისმიერი პრემიის ან ფასდათმობის ცვეთას, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. დარიცხული

## 3. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტი ხარჯი არ არის წარდგენილი ცალცალკე და შედის შესაბამისი საბალანსო მუხლის მიმდინარე ღირებულებაში.

**ოპერაციის ღირებულება** არის დამატებითი დანახარჯები, რომელიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტების შესყიდვის, შექმნის ან გაყიდვის ღირებულებას. დამატებით დანახარჯებს ადგილი არ ექნება, თუ არ მოხდება ოპერაცია. ოპერაციის თვითღირებულება მოიცავს აგენტებისთვის, კონსულტანტებისთვის, ბროკერებისთვის, დილერებისთვის (თანამშრომლების ჩათვლით, რომლებიც მუშაობენ როგორც გაყიდვის აგენტები), მარეგულირებელი ორგანოებისთვის, ფასიანი ქაღალდების ბირჟაზე გადასახდელ საკომისიოებს, მოსაკრებლებს და გადასახადებს. ოპერაციის თვითღირებულება არ მოიცავს ფასდათმობას, ფინანსურ ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან შენახვის ხარჯებს.

**ფინანსური აქტივები**

ბასს 39-ის ფარგლებში ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება, როგორც დაფარვამდე შენახული ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით მოგების ან ზარალის, სესხების და მოთხოვნების გათვალისწინებით, ან როგორც გასაყიდად ვარგისი ფინანსური აქტივები. კომპანია ადგენს საკუთარი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციის ტიპს თავდაპირველი აღიარებისას.

**დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები**

არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან ცალკეულ შემთხვევაში განსაზღვრადი გადახდებით და ფიქსირებული დაფარვის ვადით კლასიფიცირდება, როგორც ფლობილი დაფარვამდე, როდესაც კომპანიას გადაწყვეტილი აქვს და შეუძლია მათი განკარგვა დაფარვამდე.

**სესხები და მოთხოვნები**

ეს აქტივები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან ცალკეულ შემთხვევაში განსაზღვრადი გადახდებით, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. ისინი თავდაპირველად აღიარდება რეალურ ღირებულებას დამატებული ოპერაციის ხარჯები, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება აქტივების შესყიდვას ან გამოშვებას და საბოლოოდ აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით.

**გასაყიდად გამიზნული**

არაწარმოებული ფინანსური აქტივების, რომლებიც არ შედიან ზემოთ მოცემულ ჯგუფებში, კლასიფიცირებულია, როგორც გასაყიდად გამიზნული და წარმოადგენს კომპანიის სტრატეგიულ ინვესტიციებს, რომლებიც არ კვალიფიცირდება, როგორც შვილობილი საწარმო, ასოციაცია ან ერთობლივი საქმიანობა, ისევე, როგორც კორპორატიული ფასიანი ქაღალდები. ისინი აღრიცხულნი არიან რეალური ღირებულებით, რეალურ ღირებულებაში ცვლილების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით და აკუმულირებულია გასაყიდად გამიზნული აქტივების რეზერვებში. როდესაც გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივის რეალურ ღირებულებაში არის არსებითი გადახრა (რომელიც აქტივის გაუფასურების ობიექტურ მტკიცებას იძლევა), გაუფასურების მთლიანი თანხა უნდა აღიარდეს მოგებაში ან ზარალში, ყველა იმ თანხის ჩათვლით, რომელიც უკვე იყო აღიარებული სხვა სრულ შემოსავალში.

გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივების შესყიდვა და გაყიდვა აღიარდება ანგარიშსწორების დღეს, ნებისმიერი ცვლილებით, რომელსაც ადგილი ქონდა მის რეალურ ღირებულებაში, გაყიდვის დღესა და ანგარიშსწორების დღეს შორის და აღიარდება, როგორც გასაყიდად გამიზნული აქტივების რეზერვი. გაყიდვის დროს, სხვა სრულ შემოსავალში აკუმულირებული მოგება ან ზარალი გადაკლასიფიცირდება გასაყიდად გამიზნული აქტივების რეზერვებიდან მოგებაში ან ზარალში.

კომპანიას არ გააჩნია გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები.

## 3. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

### ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც: ა) აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის ან ბ) კომპანია გადასცემს ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულადი სახსრების საკონტრაქტო უფლებებს ან აწყობს გარიგებას (1) ასევე გადასცემს არსებითად ყველა რისკს და აქტივის საკუთრებას ან (2) არსებითად არც გადასცემს და არც იტოვებს ყველა რისკს და გადასცემს საკუთრებას, მაგრამ არა შენარჩუნებულ კონტროლს. კონტროლი შენარჩუნებულია, თუ კონტრაგენტს არ აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა, მიჰყიდოს აქტივი დამოუკიდებელ მესამე მხარეს ამგვარ გაყიდვის ოპერაციაზე დამატებითი შეზღუდვების არსებობის გარეშე.

### ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები დაკლასიფიცირებულია მიღებულ სესხებად, სუბორდინირებულ სესხებად და სხვა ვალდებულებებად. ფინანსური ვალდებულებების საწყისი აღიარება ხდება ოპერაციის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით. ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზებადი ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის შესაბამისად.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის მეთოდი, რომელიც უზრუნველყოფს ფინანსური ვალდებულების აღრიცხვა ამორტიზებადი ღირებულებით და ანაწილებს საპროცენტო ხარჯებს შესაბამის პერიოდებზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტირებს მომავალში გადასახდელ ფულად სახსრებს ფინანსური ვალდებულების მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულების მოკლე პერიოდის განმავლობაში.

### ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა, სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება, ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

### გადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადაფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ როდესაც, არის კანონიერი უფლება, რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს წმინდა თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

### ფასს 13 - რეალური ღირებულების იერარქია

ფასს 13 მოითხოვს, რომ ანგარიშგებაში გაიშიფროს რეალური ღირებულების გაზომვის მეთოდები რეალური ღირებულების იერარქიის მიხედვით. აღნიშნული იერარქია ასახავს შეფასებისას გამოყენებული ინფორმაციის მნიშვნელოვნებასა და დაკვირვებადობას. რეალური ღირებულების იერარქია უნდა მოცავდეს შემდეგ დონეებს:

ა) მოქმედ ბაზრებზე არსებული იდენტური აქტივების კვოტირებული ფასები (1-ლი დონე);

ბ) სხვა, კვოტირებული ფასებისგან განსხვავებული 1-ელ დონეში შემავალი ინფორმაცია, რომლებზეც შესაძლებელია პირდაპირი (ფასები) ან არაპირდაპირი (ფასებიდან გამომდინარე) გზებით დაკვირვების განხორციელება (მე-2 დონე);

გ) ინფორმაცია, რომლის გადამოწმება შეუძლებელია ბაზარზე დაკვირვებით (მე-3 დონე).

რეალური ღირებულების იერარქიის ის დონე, რომელშიც დაკლასიფიცირდება რეალური ღირებულების განსაზღვრის მეთოდი, უნდა შეირჩეს რეალური ღირებულების შესაფასებლად

## 3. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

გამოყენებული ყველაზე დაბალდონიანი ინფორმაციის საფუძველზე. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები მიეკუთვნებიან ერთ-ერთ დონეს.

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც რეალური ღირებულებით არის აღრიცხული (მე-2 დონე), მოცემულია მე-12 განმარტებით შენიშვნაში.

**ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების გაუფასურება**

ფინანსური აქტივი ან ფინანსურ აქტივთა ჯგუფი გაუფასურებულია და გაუფასურების ზარალი წარმოშობილია, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება გაუფასურებისა (რომელიც შეიძლება საიმედოდ შეფასდეს), გამოწვეული აქტივის საწყისი შეფასების შემდგომ მომხდარი ერთი ან რამდენიმე მოვლენის შედეგად („ზარალის გამომწვევი მოვლენა") და თუ ამ მოვლენამ (თუ მოვლენებმა) გავლენა იქონია ფინანსური აქტივიდან ან ფინანსურ აქტივთა ჯგუფიდან ნავარაუდებ ფულად ნაკადებზე. ძირითადი ფაქტორები, რომელიც გაითვალისწინება ფინანსური აქტივის გაუფასურების შეფასებისას არის ვადაგადაცილება და უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციის შესაძლებლობა.

ფინანსური აქტივის გაუფასურების შეფასებისას გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები:

- მსესხებლის ფინანსური ინფორმაციიდან ჩანს, რომ მას აქვს ფინანსური სიძნელეები;
- როდესაც მსესხებელი იწყებს გაკოტრების ან ფინანსური რეორგანიზაციის პროცესს;
- ეროვნული და ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორების გავლენის გამო სესხის დროული გადაუხდელობა;
- მნიშვნელოვნად შემცირდა უზრუნველყოფის საგნის ღირებულება გარე ფაქტორების გამო.

თავდაპირველად მენეჯმენტი აფასებს არსებობს თუ არა თითოეული აქტივის გაუფასურების ობიექტური საფუძველი. თითოეული აქტივის ჩართვა ხდება ფინანსური აქტივების იმ ჯგუფში, რომელთაც გააჩნიათ ანალოგიური საკრედიტო რისკები და ამ ფინანსური აქტივების ჯგუფის შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება ერთობლივად. აქტივები, რომელთა შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება ინდივიდუალურად და რომელთათვისაც ხდება გაუფასურების ზარალის აღიარება, არ არის ჩართული აქტივების გაუფასურების კოლექტიური შეფასების პროცესში.

ფინანსური აქტივების ჯგუფისთვის, რომელიც ჯგუფურად არის გაუფასურებული, მომავალი ფულადი ნაკადები ფასდება წარსული გამოცდილების საფუძველზე. გაითვალისწინება ვადაგადაცილებული თანხების ამოღება, ამასთანავე ის მიმდინარე ფაქტორები, რომელსაც ადგილი არ ქონია წარსულში, და გამოირიცხება ის ფაქტორები, რომლებსაც ადგილი ქონდა წარსულში და მიმდინარე პერიოდში აღარ აქვს ადგილი. იმ შემთხვევაში თუ მოხდება გაცემული სესხის რესტრუქტურიზაცია, სესხის გაუფასურების განსაზღვრისთვის გამოიყენება თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, რომლითაც ხდება მომავალი ფულადი ნაკადების დადისკონტირება.

გაუფასურების ხარჯი აღირიცხება გაუფასურების რეზერვის ანგარიშზე, რომელიც ამცირებს ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებას მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებამდე (რომელიც არ მოიცავს მომავალ საკრედიტო დანაკარგებს), რომელიც დადისკონტირებულია თავდაპირველად განსაზღვრული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებისას გაითვალისწინება უზრუნველყოფის საგნის რეალური ღირებულება თუ მისი რეალიზაცია მოსალოდნელია.

**ფული და ფულის ეკვივალენტები**

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე და მოთხოვნამდე დეპოზიტებს, რომელთა ვადიანობა არის 3 თვემდე. 3 თვეზე მეტი ვადით შეზღუდული სახსრები არ ჩაირთვება ფულში და ფულის ეკვივალენტებში.

## 3. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

### ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია ნებისმიერი აკუმულირებული ცვეთის/ამორტიზაციის და გაუფასურების ზარალის თანხით, არსებობის შემთხვევაში.

თავდაპირველი აღიარების შემდგომი ხარჯები მიეკუთვნება აქტივების მიმდინარე საბალანსო ღირებულებას ან აღიარდება ცალკე აქტივად, მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემოდინება კომპანიაში და ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი აქტივის ღირებულება ჩამოიწერება. რემონტისა და შეკეთების ყველა სხვა დანახარჯი აღიარდება იმ საანგარიშო პერიოდის ხარჯად, რომელსაც იგი ეკუთვნის.

ცვეთის/ამორტიზაციის დარიცხვა ხდება ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებაზე, იმისთვის რომ მოხდეს აქტივების გახარჯვა მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვეთის/ამორტიზაციის ხარჯის დაანგარიშება, ყველა ჯგუფის ძირითადი საშუალებისა და არამატერიალური აქტივისთვის ხდება წრფივი მეთოდით, შემდეგი სასარგებლო მომსახურების ვადების მიხედვით:

| ჯგუფი | სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი) |
|---|---|
| მანქანები | 7-10 |
| ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა | 3-7 |
| კომპიუტერები და კომუნიკაციის საშუალებები | 3-7 |
| იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა | საიჯარო კონტრაქტის შესაბამისად |
| ბუღალტრული და სხვა პროგრამები | 3-10 |

შეკეთებისა და განახლების დანახარჯები აღიარდება პერიოდის საოპერაციო ხარჯებად, მათი გაწევის თანავე, სანამ ისინი აკმაყოფილებენ კაპიტალიზების მოთხოვნებს.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია განიხილავს ძირითადი საშუალებებსა და არამატერიალურ აქტივების ნარჩენ ღირებულებებსა და სასარგებლო მომსახურების ვადებს და საჭიროების შემთხვევაში აკორექტირებს მათ.

იმ შემთხვევაში, თუ აქტივის აღდგენითი ღირებულება მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებია, აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება მის აღდგენით ღირებულებამდე.

### საინვესტიციო ქონება

კომპანია ფლობს გარკვეულ საინვესტიციო ქონებას კაპიტალის ზრდისთვის. საინვესტიციო ქონება თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ კომპანია დაასკვნის, რომ ამ აქტივების თვითღირებულება განსხვავდება მათი რეალური ღირებულებისაგან, მაშინ საინვესტიციო ქონება აღირიცხება რეალური ღირებულებით, თავდაპირველი აღიარებისას. თავდაპირველი აღიარების შემდგომ საინვესტიციო ქონება აღირიცხება რეალური ღირებულების შესაბამისად. რეალურ ღირებულებაში შესული ცვლილებებით გამოწვეული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგების ან ზარალის და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როგორც „მოგება (ზარალი) საინვესტიციო ქონების გადაფასებიდან".

### გუდვილის გარდა სხვა აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანია მიმოიხილავს საკუთარ მატერიალურ აქტივებს, რათა განსაზღვროს, ადგილი ხომ არ აქვს გაუფასურების ინდიკატორებს. თუ არსებობს ასეთი სახის ინდიკატორი, ამ აქტივის აღდგენითი ღირებულება შეფასებულია მისი გაუფასურების ზარალის (არსებობის შემთხვევაში) გასაანგარიშებლად. თუ შეუძლებელია ინდივიდუალური აქტივის გაუფასურების ზარალის შეფასება, მაშინ კომპანია აფასებს ფულის მაგენერირებელ იმ ერთეულს, რომელსაც ეკუთვნის აღნიშნული აქტივი. თუ გონივრულად და თანმიმდევრულად არის შესაძლებელი განისაზღვროს გადანაწილების საფუძველი, ადმინისტრაციული აქტივებიც

## 3. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

მიეკუთვნება ფულის მაგენერირებელ ერთეულს, ან წინააღმდეგ შემთხვევაში მათი მიკუთვნება ხდება ფულის მაგენერირებელ ყველაზე მცირე იმ ერთეულზე, რომლისთვისაც არის გონივრულად და თანმიმდევრულად შესაძლებელი განისაზღვროს გადანაწილების საფუძველი.

აღდგენითი ღირებულება არის აქტივის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. იმ შემთხვევაში, თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ღირებულება მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებია, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის აღდგენით ღირებულებამდე. გაუფასურების დანაკარგები აღიარებას ექვემდებარება მოგებისა ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

გაუფასურების ზარალის აღდგენის დროს, აქტივის საბალანსო ღირებულება (ან ფულის მაგენერირებელი ერთეული) იზრდება აღდგენით ღირებულებამდე, მაგრამ ისე, რომ აღდგენითმა ღირებულებამ არ გადააჭარბოს აქტივის (ფულის მაგენერირებელი ერთეულის) საბალანსო ღირებულებას, წინა პერიოდებში გაუფასურებამდე.

გაუფასურების ზარალის აღდგენა მოგებისა ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება მოხდენისთანავე.

**მიღებული სესხები**

მიღებული სესხები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით. მათი შემდგომი აღიარება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

**დაბეგვრა**

გადასახადის ხარჯი შედგება პერიოდის მიმდინარე და გავადებული გადასახადისგან. გადასახადი აღიარებულია მოგებაში ან ზარალში იმ შემთხვევის გარდა, თუ ის აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში. ამ შემთხვევაში გადასახადი ასევე აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში შესაბამისად.

კომპანიის მიმდინარე საგადასახადო დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია მის ძირითად საქმიანობასთან, გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, მოგების გადასახადის მიმდინარე ხარჯები კორექტირდება გადავადებული გადასახადების თანხებით, რომლებიც წარმოიშობა სხვაობიდან აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის. ასეთი კორექტირებები გამოიწვევს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან გადავადებული საგადასახადო ვალდებულებების ასახვას.

გადავადებული საგადასახადო აქტივების აღიარება ხდება ვალდებულებების საბუღალტრო ბალანსის მიხედვით გაანგარიშების მეთოდით. გადავადებული საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების თანხა იანგარიშება გადასახადის მოსალოდნელი განაკვეთიდან, რომელიც უნდა იქნას გამოყენებული იმ წლებში, როდესაც დროებითი სხვაობის თანხა შეიძლება ანაზღაურებული ან რეალიზებული იყოს. გადავადებული საგადასახადო აქტივების აღიარება ხდება იმ შემთხვევაში, როცა არსებობს იმის ალბათობა, რომ დასაბეგრი მოგების მომავალი თანხები საკმარისი იქნება გადავადებული საგადასახადო აქტივების სარეალიზაციოდ. ბუღალტრული ბალანსის შედგენის თითოეული თარიღისათვის კომპანია გადააფასებს აუღიარებელ გადავადებულ საგადასახადო აქტივებს.

გადავადებული საგადასახადო აქტივი აღიარდება იმიტომ, რომ ეს არის მომავალი დასაბეგრი მოგება, რომლის მიმართაც შეიძლება გამოყენებული იყოს დროებითი სხვაობა. გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება არის გადახურული როდესაც არის კანონიერი უფლება რომ გადაიხუროს მიმდინარე საგადასახდო აქტივი საგადასახადო ვალდებულების მიმართ.

**ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები**

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ

### 3. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია, აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გასვლას. მავალდებულებელი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

(ა) გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);

(ბ) კანონმდებლობიდან; ან

(გ) სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც:

(ა) წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, კომპანია მიანიშნებს სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და

(ბ) შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

**საპროცენტო შემოსავლების და ხარჯების აღიარება**

საპროცენტო ხარჯები და შემოსავლები აღიარდება მოგებაში ან ზარალში დარიცხვის მეთოდით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შესაბამისად. ამ მეთოდის შესაბამისად გადავადდება ყველა ის საკომისიო შემოსავალი და ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია სესხის გაცემასთან და სესხის მიღებასთან, რადგანაც ოპერაციის ხარჯები ჩართულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშებაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშებაში ჩაირთვება ისეთი საკომისიო შემოსავლები და ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია სესხის გაცემასთან და მიღებასთან. მაგალითად, საკომისიო შემოსავალი, რომელიც განკუთვნილია მსესხებლის საკრედიტო მდგომარეობის შეფასებისთვის, გარანტიის ან უზრუნველყოფის საგნის შეფასებასთან და აღრიცხვასთან, საკონტრაქტო პირობების შეთანხმებისათვის და შესაბამისი დოკუმენტაციის შექმნისთვის. საკომისიო თანხები, რომლებიც მიღებულია კომპანიის მიერ, სესხების საბაზრო პირობების შესაბამისად გასაცემად, ჩართულია ეფექტურ საპროცენტო განაკვეთში, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია შევა აღნიშნულ გარიგებაში და არ გაყიდის მას გარიგებაში შესვლიდან ახლო მომავალში.

როდესაც სესხები და სავალო ინსტრუმენტები გადაიქცევა საეჭვოდ, ისინი ჩამოიწერება მოსალოდნელი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულებით და, ამის შემდგომ, საპროცენტო შემოსავალი აღირიცხება დღევანდელი ღირებულების დისკონტირებით, იმ განაკვეთით, რომელიც გამოყენებული იყო გაუფასურების დანაკარგის დასათვლელად.

სხვა შემოსავლები და ხარჯები აღიარდება დარიცხვის მეთოდის შესაბამისად, რომელიც შესაბამისობაშია გაცემული ან მიღებული სერვისის მოცულობასთან.

## 3. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ისეთი საკომისიო შემოსავლები, რომლებიც წარმოიქმნება მესამე მხარეებთან შეთანხმების შედეგად ისეთ ოპერაციებზე, როგორიცაა სესხების, წილების ან სხვა გარანტიების შესყიდვა, ასევე საქმიანობის სფეროს შესყიდვა ან გაყიდვა, და რომლებიც მიიღება აღნიშნული ოპერაციების შესრულების მომენტში, აღირიცხება მათი დასრულების დროს.

**ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი**

ხელფასები, ბონუსები და არამონეტარული სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

**ბალანსის შედგენის თარიღის შემგომი მოვლენები**

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

**უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციები**

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის.

კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორისი სხვაობები აისახება მოგებისა ან ზარალის ანგარიშგებაში. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არამონეტარულ მუხლებს, კაპიტალ ინვესტიციების გათვალისწინებით. საკურსო სხვაობის ეფექტი კაპიტალ ინვესტიციების რეალურ ღირებულებაზე აღირიცხება, როგორც რეალური ღირებულებით მიღებული მოგებისა ან ზარალის ნაწილი.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია საწყისი აღიარების დღის კურსით.

2017 და 2016 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

| | საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი | |
|---|---|---|
| | *აშშ დოლარი* | *ევრო* |
| კურსი 2017 წლის 31 დკემბრისთვის | 2.5922 | 3.1044 |
| კურსი 2016 წლის 31 დკემბრისთვის | 2.6468 | 2.7940 |

**ახალი ან განახლებული სტანდარტების მიღება და ინტერპრეტაციები**

*ა) 2017 წლის პირველი იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები:*

არც ერთ ახალ სტანდარტს, ინტერპრეტაციას ან შესწორებას, რომელიც ეფექტურია 2017 წლის 1 იანვრიდან არ ჰქონია ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა. თუმცა, ბასს 7 - ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში შესული ცვლილების შედეგად ანგარიშგებაში პირველად წარდგა ვალდებულებების რეკონსილაცია რომელიც წარდგენილია მე-19 შენიშვნაში.

## 3. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

*ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:*

გამოცემულია ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა დაცვა სავალდებულოა 2018 წლის 1 იანვრიდან და რომლებიც კომპანიას არ დაუნერგავს ნაადრევად. ქვემოთ მოცემულია სია იმ სტანდარტებისა, რომლებზეც კომპანია დასაბუთებულად ფიქრობს, რომ იქნება გამოყენებადი სამომავლოდ, შესაბამისად, გეგმავს დანერგვას მათი ძალაში შესვლის თარიღიდან.

**ფასს 15 – შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან.**

2014 წლის მაისში გამოიცა ფასს 15, რომელიც მეწარმე პირებს კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვის ერთიან, სრულ მოდელს სთავაზობს. ძალაში შესვლის შემდეგ ფასს 15 ჩაანაცვლებს შემოსავლის აღიარების არსებულ პრინციპს, მათ შორის ბასს 18 – შემოსავლები, ბასს 11 – სამშენებლო კონტრაქტები და მათთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს.

ფასს 15-ის ამოსავალი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ პირმა შემოსავალი ისე უნდა აღიაროს, რომ ამით ასახოს კლიენტებისათვის ნაკისრი საქონლისა თუ მომსახურების გადაცემა ისეთი თანხით, რომელიც ასახავს ანაზღაურებას, რის მიღებასაც პირი ვარაუდობს ამ საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ. კერძოდ, სტანდარტი გვთავაზობს ერთ, პრინციპებზე დაფუძნებულ, ხუთეტაპიან მოდელს, რომელიც კლიენტებთან გაფორმებულ ყველა კონტრაქტზე ვრცელდება:

- კლიენტთან კონტრაქტის იდენტიფიცირება;
- საკონტრაქტო ვალდებულებების დადგენა;
- ტრანზაქციის ფასის განსაზღვრა;
- ტრანზაქციის ფასის მიკუთვნება საკონტრაქტო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი საკონტრაქტო ვალდებულებას შეასრულებს.

ფასს 15-ის მიხედვით, საწარმო შემოსავალს აღიარებს საკონტრაქტო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელსა თუ მომსახურებაზე "კონტროლი" კლიენტს გადაეცემა. უფრო დირექტიული ხასიათის ინსტრუქცია დაემატა ისეთ თემებს, როგორებიცაა, მაგალითად, შემოსავლის აღიარების მომენტი, ცვლადი ანაზღაურების აღრიცხვა, კონტრაქტის შესრულებისა და მიღების ხარჯები და სხვა მსგავსი ასპექტები. ასევე შემოდის შემოსავლის განმარტების ახალი მოთხოვნები.

კომპანიის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ აღნიშნული შესწორებების გამოყენებას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა ექნება.

**ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები** - ფასს 9 ახალ მოთხოვნებს აწესებს ფინანსური აქტივების აღიარების, კლასიფიკაციისა და გაზომვის თვალსაზრისით. 2014 წლის ივლისში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოაქვეყნა ფასს 9-ის საბოლოო ვერსია. ის ჩაანაცვლებს ბასს 39-ს, რომელიც უკავშირდება ფინანსური ინსტრუქციების კლასიფიკაციას და გაზომვას.

ფასს 9 ინარჩუნებს, მაგრამ ამარტივებს შერეულ გაზომვის მოდელს და აწესებს სამ ძირითად გაზომვის კატეგორიას ფინანსური აქტივებისთვის: ამორტიზებადი ღირებულება, რეალური ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში და რეალური ღირებულება მოგებასა და ზარალში.

ფინანსური აქტივების კლასიფიცირება დამოკიდებულია კომპანიის ბიზნეს-მოდელსა და ფინანსური აქტივების საკონტრაქტო ფულადი სახსრების მოძრაობის მახასიათებლებზე. ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში იზომება რეალური ღირებულებით მოგებასა და ზარალში. გარდა ამისა, ფასს 9-ის მიხედვით, პირს შეუძლია შეუქცევადად წარმოადგინოს კაპიტალში ინვესტიციის სამართლიანი ღირებულების რეტროსპექტული ცვლილებები სხვა სრულ შემოსავლაში. ფასს 9-ში შემოტანილია ფინანსური აქტივების გაუფასურების გაზომვის "მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის" მოდელი, რაც ბასს 39-ის საკრედიტო დანაკარგის მოდელის საპირისპიროა. ფინანსური ვალდებულებები ბასს 39-ის მიხედვით კლასიფიცირდება და იზომება, გარდა საკრედიტო რისკის ცვლილების აღიარებისა სხვა სრულ შემოსავალში, რომელიც

**3. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)**

უკავშირდება იმ ვალდებულებებს, რომელიც აისახება რეალური ღირებულებით მოგებასა და ზარალში.

ფასს 9-ში შემოტანილია ჰეჯირების აღრიცხვის ახალი მოდელი, რომელიც უკეთესად შეესაბამება ფინანსური და არაფინანსური რისკის ზემოქმედების ჰეჯირებისას კომპანიის რისკის მართვის ზომების ხასიათს. ფასს 9 კომპანიას სთავაზობს უფრო მოქნილ მიდგომას ჰეჯირების აღრიცხვის ტრანზაქციების ტიპებთან მიმართებაში. კერძოდ, გაფართოებულია იმ ინსტრუმენტების სახეობათა რიგი, რომლებიც კლასიფიცირდება ჰეჯირების ინტრუმენტებად. გარდა ამისა, ეფექტურობის ტესტი გაუქმდა და ჩანაცვლდა "ეკონომიკური ურთიერთობის" პრინციპით. ასევე, აღარ არის საჭირო ჰეჯირების ეფექტურობის რეტროსპექტიული შეფასება. გაზრდილია მოთხოვნები კომპანიის რისკის მართვის ღონისძიებებთან დაკავშირებულ ახსნა-განმარტებით შენიშვნებზე.

ორგანიზაცია მიმდინარე პერიოდში აფასებს აღნიშნული ცვლილების ეფექტს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

**ფასს 16 - იჯარა** - ფასს 16 იჯარა ჩაანაცვლებს არსებული იჯარის აღრიცხვის მეთოდურ მითითებებს, რომელიც მოცემული ბასს 17-ში *ლიზინგი*. IFRIC 4-ით განისაზღვრება შეიცავს თუ არა ხელშეკრულება იჯარას, SIC-15 *საოპერაციო იჯარა - სტიმულირება* და SIC-27 გარიგების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას. იგი აუქმებს მოიჯარეთათვის არსებულ დღევანდელ ორმაგ სააღრიცხვო პრინციპს, რომელიც განასხვავებს ბალანსზე აღრიცხულ ფინანსურ ლიზინგს და ბალანსზე აღურიცხავ საოპერაციო ლიზინგს. სანაცვლოდ, რჩება ერთი ბალანსზე აღრიცხვის მოდელი, რომელიც ჰგავს დღევანდელ ფინანსური ლიზინგის აღრიცხვის პრინციპს. იჯარით გამცემის აღრიცხვის პრინციპები არსებული პრაქტიკის შესაბამისი რჩება - ე.ი. იჯარით გამცემი განაგრძობს ლიზინგის კლასიფიკაციას ფინანსურ და საოპერაციო იჯარებად.

ფასს 16 მოქმედებს ყოველწლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ. მისი ვადაზე ადრე მიღება დაშვებულია, თუ ამავდროულად მიღებული იქნება ფასს 15 შემოსავალი მომხმარებელთან არსებული კონტრაქტებიდან.

ამჟამად, კომპანია აფასებს ახალი ფასს-ების გამოყენების მოსალოდნელ გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

**4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები**

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისთვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

კომპანია ახდენს შეფასებებისა და დაშვებების გადახედვას საწარმოს უწყვეტობის საფუძველზე. სააღრიცხვო შეფასების გადასინჯვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც შეფასება იქნა გადახედილი, თუ აღნიშნული ეხება მხოლოდ ამ პერიოდს; ან გადასინჯვისა და მომავალ პერიოდებში, თუ გადახედვა ეხება ორივე, მიმდინარე და მომავალ პერიოდებს.

• **სესხების და მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები.** კომპანია რეგულარულად აფასებს სესხების პორტფელს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში მენეჯმენტი აფასებს სესხების პორტფელის მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური სესხის მომავალ ფულად ნაკადებს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს მსესხებლის მიერ გადახდების გაუარესება, ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს სესხების პორტფელზე. მენეჯმენტი წარსული გამოცდილების საფუძველზე აფასებს სესხების პორტფელის გაუფასურებას. მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობის და დროში განაწილების

**4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები (გაგრძელება)**

შეფასების მეთოდოლოგია მენეჯმენტის მიერ გადაიხედება პერიოდულად, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებულ და ფაქტიურ დანაკარგებს შორის.

• **უზრუნველყოფის საგნის რეალური ღირებულების შეფასება.** მენეჯმენტი რეგულარულად განიხილავს უზრუნველყოფის საგნის საბაზრო ღირებულებას. მენეჯმენტი იყენებს საკუთარ გამოცდილებას რეალური ღირებულების დასაკორექტირებლად. უზრუნველყოფის მოცულობა დამოკიდებულებია მსესხებლის საკრედიტო რისკზე.

• **ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები.** ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

• **მოგების გადასახადი.** ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში კომპანია ახორციელებს ბევრ ოპერაციას და გაანგარიშებას, რომელთათვისაც საბოლოო დაბეგვრის საკითხები განსაზღვრული არაა. შედეგად კომპანია საგადასახადო ვალდებულებებს აღიარებს სავარაუდო შეფასებების საფუძველზე იმის შესახებ, ექნება თუ არა ადგილი დამატებით გადასახადების და პროცენტის დარიცხვას. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება იმის მიუხედავად, რომ კომპანია დარწმუნებულია რომ მას შეუძლია თავისი საგადასახდო დეკლარაციების დასაბუთება, კომპანია მაინც თვლის, რომ არსებობს გარკვეული პრობლემური არეები დეკლარაციებში, რომელთა ამომწურავად დასაბუთება შესაძლოა ვერ მოხერხდეს საგადასახადო შემოწმებისას. შედეგად კომპანია ცდილობს მინიმუმამდე დაიყვანოს ამასთან დაკავშირებული რისკები. სხვადასხვა ფაქტორების, მათ შორის წარსული გამოცდილების ანალიზის და საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების მიხედვით, კომპანია თვლის, რომ მის მიერ გაკეთებული საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვები ადეკვატურია ყველა არააუდიტირებული წლისთვის. ეს მოსაზრება ეყრდნობა დაშვებებს და შეფასებებს და შეიძლება შეიცავდეს კომპლექსურ მსჯელობებს მომავალ მოვლენებზე. იმდენად, რამდენადაც ამ საკითხების საბოლოო საგადასახადო შედეგები განსხვავდება არსებული საბუღალტრო ჩანაწერების თანხებისაგან, ასეთი სხვაობები გავლენას იქონიებს მოგების გადასახადის ხარჯზე იმ პერიოდში, როცა ასეთი გადაწყვეტილება იქნა მიღებული.

• **სასამართლო დავები.** კომპანია ანარიცხს სასამართლო დავებთან დაკავშირებით აღიარებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ადგილი აქვს მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარსულში მომხდარი ქმედების შედეგია, მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიისგან და შესაძლებელია მისი საიმედოდ განსაზღვრა. იქ, სადაც რომელიმე კრიტერიუმი არ კმაყოფილდება, პირობითი ვალდებულება შეიძლება იქნას გაშიფრული ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში. ნებისმიერი პირობითი ვალდებულების დადგომას, რომლის აღიარება ან გაშიფვრა ფინანსურ ანგარიშგებაში ჯერ არ მომხდარ, შეიძლება ქონდეს არსებითი გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე. აქედან გამომდინარე კომპანიის მენეჯმენტისგან აღნიშნული ფაქტი მოითხოვს მნიშვნელოვან შეფასებებს არსებულ თუ მომავალ სასამართლო დავებთან დაკავშირებით. კომპანია განიხილავს ყოველ მიმდინარე სასამართლო დავას და აფასებს მის შედეგებს საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის, რათა განსაზღვროს საჭიროა თუ არა შესაბამისი ანარიცხის შექმნა. შეფასების დროს გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: დავის ხასიათი, მომჩივანია თუ მოპასუხე, სასამართლო პროცესის მიმდინარეობა და პოტენციური ზარალის დონე, იურისტების მიმოხილვა და რჩევები, გამოცდილება მსგავსი შემთხვევებიდან და სხვა. 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ ქონია მნიშვნელოვანი სასამართლო დავები.

## 5. წმინდა საპროცენტო შემოსავლები

საპროცენტო შემოსავლები 2017 და 2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

| | 2017 | 2016 |
|---|---|---|
| *ამორტიზებულ ფინანსურ აქტივებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავალი:* | | |
| აქტიური სესხები | 8,815,058 | 7,238,182 |
| ჩამოწერილი სესხები | 8,740 | 282,865 |
| სულ საპროცენტო შემოსავალი | 8,823,798 | 7,521,047 |
| *ამორტიზებულ ფინანსურ ვალდებულებებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი:* | | |
| სესხები | (4,068,356) | (2,965,665) |
| სუბორდინირებული სესხები | (138,112) | (130,344) |
| სულ საპროცენტო ხარჯი | (4,206,468) | (3,096,009) |
| წმინდა საპროცენტო შემოსავალი | 4,617,330 | 4,425,038 |

საანგარიშო პერიოდებისთვის, რომელიც დასრულდა 2017 და 2016 წლების 31 დეკემბერს ვადაგადაცილებულ სესხებზე დარიცხულმა საპროცენტო შემოსავალმა შეადგინა 749,768 ლარი და 475,768 ლარი, შესაბამისად.

## 6. სესხების გაუფასურების რეზერვი

სესხების გაუფასურების რეზერვი 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

| | ბიზნეს სესხი | სამომხმარებლო სესხი | აგრო სესხი | სულ |
|---|---|---|---|---|
| 1 იანვარი 2017 | (427,997) | (129,560) | (224,171) | (781,728) |
| ანარიცხები საეჭვო სესხებზე | (179,430) | (35,202) | (97,919) | (312,551) |
| ჩამოწერილი სესხები | 229,678 | 64,746 | 94,871 | 389,295 |
| 31 დეკემბერი 2017 | (377,749) | (100,016) | (227,219) | (704,984) |
| მათ შორის: | | | | |
| ჯგუფური გაუფასურება | (377,749) | (100,016) | (227,219) | (704,984) |
| სულ გაუფასურება | (377,749) | (100,016) | (227,219) | (704,984) |

სესხების გაუფასურების რეზერვი 2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

| | ბიზნეს სესხი | სამომხმარებლო სესხი | აგრო სესხი | სულ |
|---|---|---|---|---|
| 1 იანვარი 2016 | (290,637) | (124,010) | (107,715) | (522,362) |
| ანარიცხები საეჭვო სესხებზე | (214,544) | (139,841) | (337,245) | (691,630) |
| ჩამოწერილი სესხები | 128,921 | 134,291 | 220,789 | 484,001 |
| ამოღებები | (51,737) | - | - | (51,737) |
| 31 დეკემბერი 2016 | (427,997) | (129,560) | (224,171) | (781,728) |
| მათ შორის: | | | | |
| კოლექტიური დარეზერვება | (427,997) | (129,560) | (224,171) | (781,728) |
| სულ რეზერვის ხარჯი | (427,997) | (129,560) | (224,171) | (781,728) |

## 7. ჯარიმები და საკომისიო შემოსავლები

ჯარიმები და საკომისიო შემოსავლები მოიცავს სესხის ადრე დაფარვის ჯარიმებსა და სხვა მომსახურების საკომისიოებს, რომლებმაც 2017 და 2016 წლებში შეადგინა 578,735 ლარი და 652,436 ლარი, შესაბამისად.

## 8. პერსონალის ხარჯი ხელფასების და ბონუსების ჩათვლით

პერსონალის ხარჯი, ხელფასებისა და ბონუსების ჩათვლით, 2017 და 2016 წლების 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო პერიოდებისთვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

| | 2017 | 2016 |
|---|---|---|
| ხელფასები | 2,479,925 | 2,062,246 |
| ბონუსები | 121,918 | 561,748 |
| დაზღვევის ხარჯი | 49,571 | 50,322 |
| **სულ** | **2,651,414** | **2,674,316** |

## 9. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები 2017 და 2016 წლების 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო პერიოდებისთვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

| | 2017 | 2016 |
|---|---|---|
| საოპერაციო იჯარის ხარჯი | 917,420 | 931,151 |
| ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი | 285,460 | 273,695 |
| პროფესიონალური მომსახურების ხარჯი | 175,435 | 212,816 |
| ოფისის რემონტისა და შენახვის ხარჯი | 134,502 | 113,037 |
| კომუნალური ხარჯი | 86,185 | 71,897 |
| საკომუნიკაციო ხარჯი | 84,160 | 76,841 |
| რეკლამის და მარკეტინგის ხარჯი | 37,349 | 23,574 |
| ბანკის საკომისიო ხარჯი | 26,280 | 37,441 |
| საკანცელარიო ხარჯი | 14,886 | 12,198 |
| მივლინების ხარჯი | 12,400 | 18,227 |
| გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა | 8,691 | 8,638 |
| სასამართლოსთან დაკავშირებული ხარჯი | - | 27,412 |
| სხვა ხარჯი | 113,432 | 69,086 |
| **სულ** | **1,896,200** | **1,876,013** |

აუდიტორული მომსახურების ხარჯმა 2017 წელს შეადგინა 21,377 ლარი (2016: 18,984 ლარი).

## 10. სარგებელი (ხარჯი) მოგების გადასახადიდან

სარგებელი (ხარჯი) მოგების გადასახადიდან 2017 და 2016 წლების 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო პერიოდებისთვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

| | 2017 | 2016 |
|---|---|---|
| მიმდინარე მოგების გადასახადი | (99,752) | - |
| დროებითი სხვაობების ეფექტი | 27,695 | 208,918 |
| გამოყენებული საგადასახადო ზარალი | (9,727) | (143,715) |
| **სულ** | **(81,784)** | **65,203** |

რეკონსილაცია ფაქტიურ და მოსალოდნელ მოგების გადასახადს შორის:

| | 2017 | 2016 |
|---|---|---|
| **მოგება დაბეგვრამდე** | **286,798** | **276,637** |
| მოგების გადასახადის პროცენტი | 15% | 15% |
| თეორიული მოგების გადასახადი | (43,020) | (41,496) |
| შემოსავლები რომლებიც გათავისუფლებულია გადასახადისგან (ხარჯები რომლებიც არ გამოიქვითება) | (38,764) | 106,699 |
| **სულ** | **(81,784)** | **65,203** |

## 11. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

| | 31 დეკემბერი 2017 | 31 დეკემბერი 2016 |
|---|---|---|
| ნაღდი ფული | 715,804 | 838,962 |
| ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე ეროვნულ ვალუტაში | 90,775 | 115,605 |
| ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე უცხოურ ვალუტაში | 2,336,441 | 114,218 |
| შეზღუდული ფული* | 58,325 | - |
| **სულ ფული და ფულის ეკვივალენტები** | **3,201,345** | **1,068,785** |

*შეზღუდული ფული წარმოადგენს სვოპის ოპერაციებისთვის არსებული უზრუნველყოფის თანხას, 58,325 ლარის ოდენობით, რომელიც ძალაშია 2018 წლის 5 თებერვლამდე.

## 12. რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგებაში ან ზარალში ასახვით

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით რეალური ღირებულებით აღრიცხულმა ფინანსურმა ინსტრუმენტებმა მოგებაში ან ზარალში ასახვით შეადგინეს 907,721 ლარი და 1,113,310 ლარი, შესაბამისად.

კომპანია ადგილობრივ ბანკებთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე იღებს დაფინანსებას ადგილობრივ ვალუტაში და გარანტიის სახით ამავე ბანკის დეპოზიტზე ათავსებს მიღებული თანხის შესაბამის თანხას უცხოურ ვალუტაში. ასეთი კონტრაქტები კლასიფიცირებულია, როგორც დერივატივები. დასკვნა გამოტანილია შემდეგ ინდიკატორებზე დაფუძნებით:

- ისინი ერთდროულად და ერთმანეთის მიყოლებით შედიან ძალაში;
- ისინი რეგულირდება ერთი და იგივე გარიგებით;
- აქვთ ერთნაირი რისკი;
- არ არსებობს ცხადი ეკონომიკური საჭიროება ან არსებითი ბიზნეს მიზანი გარიგებების ცალკე სტრუქტურიზაციისთვის, რომელიც ვერ ჩამოყალიბდება ერთ გარიგებაში;
- არსებობს თავდაპირველი წმინდა ინვესტიცია, რომელიც უფრო ნაკლებია, ვიდრე სხვა სახის ინვესტიცია, რომელიც ანალოგიურად რეაგირებს მსგავს ცვლილებებზე საბაზრო ფაქტორებიდან და სამომავლო გეგმებიდან გამომდინარე.

## 13. გაცემული სესხები

გაცემული სესხები 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

| | 31 დეკემბერი 2017 | 31 დეკემბერი 2016 |
|---|---|---|
| გაცემული სესხები | 34,548,943 | 29,795,955 |
| დარიცხული პროცენტი | 1,421,513 | 1,179,678 |
| **გაცემული სესხები გაუფასურების რეზერვებამდე** | **35,970,456** | **30,975,633** |
| გამოკლებული: გაუფასურების რეზერვი | (704,984) | (781,728) |
| **სულ გაცემული სესხები** | **35,265,472** | **30,193,905** |

2017 და 2016 წლებში გაცემული სესხების მაქსიმალურმა ოდენობამ შეადგინა 50,000 ლარი. 2017 წლის 23 დეკემბრიდან, კანონმდებლობის ცვლილების შედეგად, ზედა ზღვარი გაიზარდა 100, 000 ლარამდე.

გაცემული სესხები სახეობების მიხედვით შეიძლება წარმოდგენილ იქნეს შემდეგი სახით:

| | 31 დეკემბერი 2017 | 31 დეკემბერი 2016 |
|---|---|---|
| ბიზნეს სესხი | 15,541,393 | 13,264,217 |
| სამომხმარებლო სესხი | 2,492,824 | 1,888,781 |
| აგრო სესხი | 17,646,396 | 15,380,696 |
| ლომბარდული სესხი | 289,843 | 441,939 |
| **გაცემული სესხები გაუფასურების რეზერვებამდე** | **35,970,456** | **30,975,633** |
| გამოკლებული: გაუფასურების რეზერვი | (704,984) | (781,728) |
| **სულ გაცემული სესხები** | **35,265,472** | **30,193,905** |

ინფორმაცია სესხების გაუფასურების მოძრაობაზე მოცემულია მე-6 შენიშვნაში.

## 13. გაცემული სესხები (გაგრძელება)

გაცემული სესხების სავალუტო და ლიკვიდობის ანალიზი კი შეგიძლიათ იხილოთ 24-ე შენიშვნაში.

გაცემული სესხების საკრედიტო ხარისხი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

| | ბიზნეს სესხები | სამომხმარებლო სესხები | სალომბარდე სესხები | აგრო სესხები | სულ |
|---|---|---|---|---|---|
| მიმდინარე და არა გაუფასურებული სესხები | 13,610,495 | 2,263,626 | 277,570 | 15,776,752 | **31,928,443** |
| ვადაგასული და არა გაუფასურებელი სესხები - სრულად უზრუნველყოფილი სესხები | 1,123,160 | 16,304 | 12,273 | 1,107,816 | **2,259,553** |
| **ჯგუფურად გაუფასურებული სესხები:** | | | | | |
| რეაბილიტირებული სესხები | 324,490 | 83,362 | - | 229,101 | **636,953** |
| 31-90 დღიანი ვადაგადაცილება | 82,141 | 14,484 | - | 277,022 | **373,647** |
| 91-180 დღიანი ვადაგადაცილება | 55,641 | 15,625 | - | 102,022 | **173,288** |
| 181-365 დღიანი ვადაგადაცილება | 139,519 | 12,159 | - | 63,876 | **215,554** |
| 365-ზე მეტდღიანი ვადაგადაცილება | 205,947 | 87,264 | - | 89,807 | **383,018** |
| **სულ სესხები გაუფასურებამდე** | **15,541,393** | **2,492,824** | **289,843** | **17,646,396** | **35,970,456** |
| გამოკლებული გაუფასურების რეზერვი | (377,749) | (100,016) | - | (227,219) | **(704,984)** |
| **სულ გაუფასურებული გაცემული სესხები** | **15,163,644** | **2,392,808** | **289,843** | **17,419,177** | **35,265,472** |

გაცემული სესხების საკრედიტო ხარისხი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

| | ბიზნეს სესხები | სამომხმარებლო სესხები | სალომბარდე სესხები | აგრო სესხები | სულ |
|---|---|---|---|---|---|
| მიმდინარე და არა გაუფასურებული სესხები | 12,112,722 | 1,594,081 | 436,719 | 14,720,649 | **28,864,171** |
| ვადაგასული და არა გაუფასურებელი სესხები - სრულად უზრუნველყოფილი სესხები | 357,130 | 17,947 | 3,185 | 148,663 | **526,925** |
| **ჯგუფურად გაუფასურებული სესხები:** | | | | | |
| რეაბილიტირებული სესხები | 368,202 | 105,774 | 1,580 | 198,896 | **674,452** |
| 31-90 დღიანი ვადაგადაცილება | 73,545 | 15,931 | 455 | 123,471 | **213,402** |
| 91-180 დღიანი ვადაგადაცილება | 8,976 | 36,918 | - | 10,630 | **56,524** |
| 181-365 დღიანი ვადაგადაცილება | 64,115 | 61,596 | - | 45,431 | **171,142** |
| 365-ზე მეტდღიანი ვადაგადაცილება | 279,527 | 56,534 | - | 132,956 | **469,017** |
| **სულ სესხები გაუფასურებამდე** | **13,264,217** | **1,888,781** | **441,939** | **15,380,696** | **30,975,633** |
| გამოკლებული გაუფასურების რეზერვი | (427,997) | (129,560) | - | (224,171) | **(781,728)** |
| **სულ გაუფასურებული გაცემული სესხები** | **12,836,220** | **1,759,221** | **441,939** | **15,156,525** | **30,193,905** |

უზრუნელყოფით და უზრუნველყოფის გარეშე გაცემული სესხების შესახებ ინფორმაცია 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

| | 31 დეკემბერი 2017 | 31 დეკემბერი 2016 |
|---|---|---|
| უზრუნველყოფილი სესხები | 33,795,035 | 29,403,490 |
| არაუზრუნველყოფილი სესხები | 2,196,980 | 1,572,143 |
| გამოკლებული: გაუფასურების რეზერვი | (704,543) | (781,728) |
| **სულ გაცემული სესხები** | **35,265,472** | **30,193,905** |

**13. გაცემული სესხები (გაგრძელება)**

ინფორმაცია გაცემული სესხების შესახებ, უზრუნველყოფის სახეობების მიხედვით, 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

| უზრუნველყოფის სახეები | 31 დეკემბერი 2017 | 31 დეკემბერი 2016 |
|---|---|---|
| თავდებობა | 17,289,994 | 14,859,164 |
| უძრავი ქონება | 15,838,799 | 13,949,205 |
| სატრანსპორტო საშუალებები | 331,377 | 155,252 |
| ძვირფასი სამკაულები | 311,574 | 439,869 |
| სხვადასხვა აქციებით უზრუნველყოფილი | 23,291 | - |
| **სულ უზრუნველყოფილი სესხები** | **33,795,035** | **29,403,490** |

**14. საინვესტიციო ქონება**

საინვესტიციო ქონება 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგნაირად:

| | 2017 | 2016 |
|---|---|---|
| **ნაშთი წლის დასაწყისში** | **2,329,228** | **1,551,439** |
| შემოსვლა | 230,738 | 438,598 |
| გასვლა | (4,980) | (3,692) |
| საინვესტიციო ქონების გადაფასებიდან მიღებული მოგება (ზარალი) | (129,762) | 342,883 |
| **ნაშთი წლის ბოლოს** | **2,425,224** | **2,329,228** |

საინვესტიციო ქონება აღრიცხულია რეალური ღირებულებით, რომელიც განსაზღვრულია დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ, შესაბამის ბაზარზე არსებული საბაზრო ფასების მიხედვით. ხდება საბაზრო ფასებზე დაკვირვება და აუცილებლობის შემთხვევაში შესაბამისი ცვლილების შეტანა, შესაფასებელი აქტივის ბუნების, ადგილმდებარეობისა და მდგომარეობის მიხედვით. რეალურ ღირებულებაში შესული ცვლილებები აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

კომპანიას არ მიუღია საიჯარო შემოსავალი საინვესტიციო ქონებიდან.

საინვესტიციო ქონებით უზრუნველყოფილია სს თიბისი ბანკისგან მიღებული სესხები.

მოგება (ზარალი) საინვესტიციო ქონების საწყისი აღიარებიდან და გადაფასებიდან 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშო პერიოდებისთვის, შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგი სახით:

| | 2017 | 2016 |
|---|---|---|
| წმინდა მოგება ჩამორთმეული ქონების თავდაპირველი აღიარებისას | 99,007 | 105,908 |
| საინვესტიციო ქონების გადაფასებიდან მიღებული მოგება (ზარალი) | (129,762) | 342,883 |
| **სულ** | **(30,755)** | **448,791** |

## 15. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

| ისტორიული ღირებულება | იჯარის კეთილმოწყობა | ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა | კომპიუტერები და კომუნიკაცია | მანქანები | სულ |
|---|---|---|---|---|---|
| **ნაშთი 2015 წლის 31 დეკემბერს** | **212,769** | **425,485** | **891,554** | **100,017** | **1,629,825** |
| შემოსვლა | 50,383 | 14,452 | 78,297 | - | **143,132** |
| გასვლა | (40,235) | (13,071) | (28,162) | - | **(81,468)** |
| **ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბერს** | **222,917** | **426,866** | **941,689** | **100,017** | **1,691,489** |
| შემოსვლა | 43,717 | 16,665 | 6,935 | 36,200 | **103,517** |
| გასვლა | (4,658) | (52,489) | (224,834) | (37,612) | **(319,593)** |
| **ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს** | **261,976** | **391,042** | **723,790** | **98,605** | **1,475,413** |
| | | | | | |
| დაგროვილი ცვეთა | | | | | |
| **ნაშთი 2015 წლის 31 დეკემბერს** | **(16,769)** | **(151,495)** | **(290,365)** | **(18,866)** | **(477,495)** |
| მიმდინარე წლის ცვეთა | (18,019) | (73,323) | (162,514) | (7,596) | **(261,452)** |
| გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა | 4,038 | 3,552 | 5,457 | - | **13,047** |
| **ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბერს** | **(30,750)** | **(221,266)** | **(447,422)** | **(26,462)** | **(725,900)** |
| მიმდინარე წლის ცვეთა | (31,058) | (33,035) | (192,572) | (12,549) | **(269,214)** |
| გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა | 4,657 | 47,699 | 213,588 | 26,350 | **292,294** |
| **ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს** | **(57,151)** | **(206,602)** | **(426,406)** | **(12,661)** | **(702,820)** |
| | | | | | |
| **წმინდა საბალანსო ღირებულება** | | | | | |
| **წმინდა საბალანსო ღირებულება 2016 წლის 31 დეკემბერს** | 192,167 | 205,600 | 494,267 | 73,555 | 965,589 |
| **წმინდა საბალანსო ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბერს** | 204,825 | 184,440 | 297,384 | 85,944 | 772,593 |

## 16. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

| ისტორიული ღირებულება | ბუღალტრული და სხვა პროგრამები | სხვა არამატერიალური აქტივები | ჯამი |
|---|---|---|---|
| **ნაშთი 2015 წლის 31 დეკემბერს** | 75,139 | 29,133 | 104,272 |
| შემოსვლა | 84,538 | - | 84,538 |
| გასვლა | - | - | - |
| **ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბერს** | 159,677 | 29,133 | 188,810 |
| შემოსვლა | - | 3,577 | 3,577 |
| გასვლა | (18,523) | (3,421) | (21,944) |
| **ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს** | 141,154 | 29,289 | 170,443 |
| | | | |
| დაგროვილი ამორტიზაცია | | | |
| **ნაშთი 2015 წლის 31 დეკემბერს** | (30,716) | (8,152) | (38,868) |
| ამორტიზაცია | (10,932) | (1,311) | (12,243) |
| **ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბერს** | (41,648) | (9,463) | (51,111) |
| ამორტიზაცია | (15,132) | (1,114) | (16,246) |
| გასული აქტივების დაგროვილი ამორტიზაცია | 11,934 | 6,486 | 18,420 |
| **ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს** | (44,846) | (4,091) | (48,937) |
| | | | |
| წმინდა საბალანსო ღირებულება | | | |
| წმინდა საბალანსო ღირებულება 2016 წლის 31 დეკემბერს | 118,029 | 19,670 | 137,699 |
| წმინდა საბალანსო ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბერს | 96,308 | 25,198 | 121,506 |

## 17. სხვა აქტივები

სხვა აქტივები 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

| | 31 დეკემბერი 2017 | 31 დეკემბერი 2016 |
|---|---|---|
| ავანსები* | 525,414 | 183,062 |
| სხვა | 65,358 | - |
| წინასწარ გადახდილი გადასახადები | - | 3,884 |
| სულ | 590,772 | 186,946 |

*ავანსები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს პროგრამული უზრუნველყოფის შესაძენად წინასწარ გადახდილ თანხას 337,457 ლარის ოდენობით.

## 18. გადავადებული საგადასახადო აქტივი

გადავადებული საგადასახადო აქტივი 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

| | 31 დეკემბერი 2017 | 31 დეკემბერი 2016 |
|---|---|---|
| 1 იანვრისთვის | 103,052 | 37,849 |
| მოგებასა და ზარალში აღიარება | | |
| საგადასახადო შემოსავალი | 17,968 | 65,203 |
| 31 დეკემბრისთვის | 121,020 | 103,052 |

დროებითი სხვაობები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

| | აქტივი 2017 | ვალდებულება 2017 | ნეტო 2017 | აღიარებული მოგებაში ან ზარალში 2017 |
|---|---|---|---|---|
| ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები | - | (108,298) | (108,298) | 16,460 |
| გაცემული სესხები | 149,904 | - | 149,904 | 11,752 |
| სხვა აქტივები | - | (4,392) | (4,392) | (8,504) |
| მიღებული სესხები | 78,466 | - | 78,466 | (647) |
| სხვა ვალდებულებები | 5,340 | - | 5,340 | 8,634 |
| გამოყენებული საგადასახადო ზარალი | - | - | - | (9,727) |
| **საგადასახადო აქტივი (ვალდებულება)** | **233,710** | **(112,690)** | **121,020** | **17,968** |
| ურთიერთგადაფარვა | (112,690) | 112,690 | | |
| **წმინდა აქტივი (ვალდებულება)** | 121,020 | - | 121,020 | 17,968 |

დროებითი სხვაობები 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

| | აქტივი 2016 | ვალდებულება 2016 | ნეტო 2016 | აღიარებული მოგებაში ან ზარალში 2016 |
|---|---|---|---|---|
| ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები | - | (124,758) | (124,758) | 17,660 |
| საინვესტიციო ქონება* | - | - | - | 98,279 |
| გაცემული სესხები | 138,152 | - | 138,152 | 52,374 |
| სხვა აქტივები | 4,112 | - | 4,112 | 4,112 |
| მიღებული სესხები | 79,113 | - | 79,113 | 33,211 |
| სხვა ვალდებულებები | - | (3,294) | (3,294) | 3,282 |
| გამოუყენებელი საგადასახადო ზარალი | 9,727 | - | 9,727 | (143,715) |
| **საგადასახადო აქტივი (ვალდებულება)** | **231,104** | **(128,052)** | **103,052** | **65,203** |
| ურთიერთგადაფარვა | (128,052) | 128,052 | | |
| **წმინდა აქტივი (ვალდებულება)** | 103,052 | - | 103,052 | 65,203 |

*რამდენადაც კომპანია საინვესტიციო ქონებას იყენებს გრძელვადიანი კაპიტალის მოსაზიდად და არა სარეალიზაციოდ, აღნიშნული აქტივები ვერ იქნება დროებითი სხვაობის მიზეზი.

## 19. მიღებული სესხები

მიღებული სესხები 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

| | საპროცენტო განაკვეთი | ვალუტა | 31 დეკემბერი 2017 | 31 დეკემბერი 2016 |
|---|---|---|---|---|
| სს თიბისი ბანკი - ლარი | 15% | ლარი | 2,215,712 | 1,151,459 |
| სს თიბისი ბანკი - დოლარი | 8% | აშშ დოლარი | 778,001 | 531,482 |
| არარეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტები* | 8.3%-10% | აშშ დოლარი | 23,073,439 | 17,118,527 |
| მფლობელები | 9% - 12% | აშშ დოლარი | 1,895,358 | 2,713,488 |
| არარეზიდენტი ფიზიკური პირები | 6%-9.5% | აშშ დოლარი/ევრო | 3,233,606 | 3,364,502 |
| რეზიდენტი ფიზიკური პირები | 7%-15% | ლარი/აშშ დოლარი/ევრო | 5,049,124 | 6,159,931 |
| სულ | | | 36,245,240 | 31,039,389 |

*მიღებული სესხები არარეზიდენტი ფინასური ინსტიტუტებიდან 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგი სახით:

| | 31 დეკემბერი 2017 | 31 დეკემბერი 2016 |
|---|---|---|
| BLUEORCHARD MICROFINANCE FUND | 7,810,905 | - |
| Global impact investments Sarl as the Holder | 2,661,087 | - |
| INVEST IN VISION | 5,272,247 | 2,723,033 |
| KOLIBRI KAPITAL ASA | 1,055,523 | 1,061,533 |
| SME Finance Loans for Growth | 2,346,692 | - |
| Triple Jump Innovation Fund | 2,623,864 | - |
| WALLBERG INVEST S.A | 1,303,121 | 2,661,651 |
| COMMERZ BANK | - | 2,666,100 |
| GUEVOURA FUND LTD | - | 8,006,210 |
| სულ | 23,073,439 | 17,118,527 |

მიღებული სესხები მიმდინარე და გრძელვადიან ნაწილებად, 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგი სახით:

| | 31 დეკემბერი 2017 | 31 დეკემბერი 2016 |
|---|---|---|
| მოკლევადიანი სესხები | 16,598,273 | 24,078,992 |
| გრძელვადიანი სესხები | 19,646,967 | 6,960,397 |
| სულ მიღებული სესხები | 36,245,240 | 31,039,389 |

დარიცხული პროცენტი და სესხის ძირი 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგი სახით:

| | 31 დეკემბერი 2017 | 31 დეკემბერი 2016 |
|---|---|---|
| სესხის ძირი | 35,463,280 | 30,538,805 |
| დარიცხული პროცენტი | 781,960 | 500,584 |
| სულ მიღებული სესხები | 36,245,240 | 31,039,389 |

## 21. სხვა ვალდებულებები

სხვა ვალდებულებები 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

| | 31 დეკემბერი 2017 | 31 დეკემბერი 2016 |
|---|---|---|
| საგადასახადო ვალდებულებები* | 155,789 | 6,517 |
| მიღებული ავანსები | 65,733 | 27,936 |
| თანამშრომლებთან არსებული ვალდებულებები | 35,600 | 39,837 |
| პორტფელის გაყიდვასთან დაკავშირებული ვალდებულებები | - | 12,887 |
| საგადასახადო ვალდებულებების ანარიცხი** | - | 155,913 |
| სხვა ვალდებულებები | 28,672 | 47,987 |
| **სულ** | **285,794** | **291,077** |

* საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, კომპანია ვალდებულია გადაიხადოს ყველა საგადასახადო ვალდებულება ხაზინის ერთი უნიკალური კოდის მიხედვით. შესაბამისად, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია ახდენს საკუთარი საგადასახადო ვალდებულებებისა და აქტივების გადახურვას, წარდგენის მიზნებისათვის.

** 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღრიცხული საგადასახადო ანარიცხი დაიანგარიშა მენეჯმენტმა და იგი გამოხატავდა მენეჯმენტის მოლოდინს, რომ ეკონომიური სარგებელი გავიდოდა კომპანიიდან და საგადასახადო ორგანოები დაარიცხავდნენ დამატებით გადასახადებს. შეფასება ეფუძნებოდა საქართველოს საგადასახადო კოდექსის ინტერპრეტაციას, რომელიც აქტუალური იყო აღნიშნული საანგარიშო პერიოდის ბოლოს. 2017 წელს კომპანიამ მთლიანად დაფარა აღნიშნული საგადასახადო ვალდებულება.

## 22. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2017 და 2016 წლების 31 დეკებრის მდგომარეობით, შედგებოდა 1,110,548 და 1,010,548 ჩვეულებრივი აქციისაგან, ნომინალური ღირებულებით 1 ლარი. 2017 წლის 24 თებერვალს კომპანიამ გამოუშვა 100,000 ჩვეულებრივი აქცია. ერთი აქციის ნომინალურმა ფასმა შეადგინა 1 ლარს, ხოლო საბაზრო ფასმა - 9 ლარი. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საემისიო კაპიტალმა შეადგინა 2,287,348 ლარი, რომელიც წარმოადგენს მიმდინარე წლის (800,000 ლარი) და წინა პერიოდების წილების (1,487,348 ლარი) ჯამს.

საწესდებო კაპიტალი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

| აქციონერები | აქციების რაოდენობა, 2017 | ტიპი | 31 დეკემბერი 2017, % | საწესდებო კაპიტალი, ლარი |
|---|---|---|---|---|
| ისტერნ კაპიტალ ეი ეს | 441,762 | ჩვეულებრივი | 39.778770% | 441,762 |
| შპს გრინინვესტ | 195,604 | ჩვეულებრივი | 17.613260% | 195,604 |
| შიფლერი თომას | 95,211 | ჩვეულებრივი | 8.573300% | 95,211 |
| სამოქალაქო საზოგადოება „ალეა ექვითი გბრ“ | 66,763 | ჩვეულებრივი | 6.011690% | 66,763 |
| იოჰენ ციმერმანი | 66,763 | ჩვეულებრივი | 6.011690% | 66,763 |
| seec GmbH I.G. | 60,214 | ჩვეულებრივი | 5.422030% | 60,214 |
| ხმალაძე ნიკოლოზ | 55,527 | ჩვეულებრივი | 4.999950% | 55,527 |
| ხმალაძე გიორგი | 55,527 | ჩვეულებრივი | 4.999950% | 55,527 |
| კლოვინინგენ ას | 42,741 | ჩვეულებრივი | 3.848600% | 42,741 |
| ენგა ინვესტ ას | 30,437 | ჩვეულებრივი | 2.740750% | 30,437 |
| **სულ** | **1,110,548** | | **100.000%** | **1,110,548** |

ყოველი აქციის ნომინალური ღირებულებაა 1 ლარი.

## 22. საწესდებო კაპიტალი (გაგრძელება)

საწესდებო კაპიტალი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

| აქციონერები | აქციების რაოდენობა, 2016 | ტიპი | 31 დეკემბერი 2016, % | საწესდებო კაპიტალი, ლარი |
|---|---|---|---|---|
| ისტერნ კაპიტალ ეი ეს | 440,795 | ჩვეულებრივი | 43.619360% | 440,795 |
| შპს გრინინვესტ | 195,175 | ჩვეულებრივი | 19.313800% | 195,175 |
| შიფლერი თომას | 66,616 | ჩვეულებრივი | 6.592110% | 66,616 |
| სამოქალაქო საზოგადოება „ალეა ექვითი გბრ" | 66,616 | ჩვეულებრივი | 6.592110% | 66,616 |
| იოჰენ ციმერმანი | 60,082 | ჩვეულებრივი | 5.945520% | 60,082 |
| seec GmbH I.G. | 52,905 | ჩვეულებრივი | 5.235290% | 52,905 |
| ხმალაძე ნიკოლოზ | 52,905 | ჩვეულებრივი | 5.235290% | 52,905 |
| ხმალაძე გიორგი | 42,647 | ჩვეულებრივი | 4.220180% | 42,647 |
| კლოვენინგენ ას | 32,806 | ჩვეულებრივი | 3.246330% | 32,806 |
| სულ | **1,010,548** | | **100.000%** | **1,010,548** |

ყოველი აქციის ნომინალური ღირებულებაა 1 ლარი.

## 23. პოტენციური ვალდებულებები

### იურიდიული ვალდებულებები

კომპანიას საქმიანობის ჩვეულ პროცესში აქვს სასამართლო სარჩელები და პრეტენზიები. კომპანიას აქვს სასამართლო დავები იმ პირებთან, რომლებმაც დაარღვიეს ნაკისრი ვალდებულებები. ყველაზე მაღალი შედეგი, რაც კომპანიამ შეიძლება მიიღოს ასეთი დავებიდან არის ამ პირებისადმი არსებული გაცემული სესხების ნაშთები (დარიცხული ჯარიმების გათვალისწინებით). იქიდან გამომდინარე, რომ გაურკვეველია, ასეთი პირების მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, კომპანია ქმნის გაუფასურების ანარიცხს ამ ტიპის გაცემულ სესხებზე. დამატებითი ინფომრაცია მოცემულია მე-6 და მე-13 შენიშვნაში.

### საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა არის სხვადასხვაგვარად ინტერპრეტაციისა და ცვლილების საგანი. მენეჯმენტის მხრიდან საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების მიერ ინტერპრეტაციებისაგან და კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით სასაგადასახო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის მანძილზე. კომპანიის მენეჯმენტი თვლის, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა არ წარმოშობს დამატებით საგადასახადო ვალდებულებას, გარდა იმისა, რაც კომპანიას უკვე აქვს აღიარებული და აღრიცხული.

## 23. პოტენციური ვალდებულებები (გაგრძელება)

### პოტენციური საიჯარო ვალდებულებები

კომპანიას სათავო ოფისი და სერვის ცენტრები აღებული აქვს საოპერაციო იჯარით. იჯარის ვადა ძირითადად მერყეობს 3-დან 5 წლამდე, მომავალი გაგრძელების პერსპექტივით.

მომავალი საიჯარო გადასახდელები 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

| | 2017 | 2016 |
|---|---|---|
| 1 თვის განმავლობაში | 77,186 | 122,096 |
| ერთიდან 3 თვემდე განმავლობაში | 154,372 | 244,192 |
| 3 თვიდან 1 წლამდე განმავლობაში | 583,770 | 878,023 |
| ერთიდან 2 წლამდე განმავლობაში | 608,957 | 1,023,800 |
| ორიდან 5 წლამდე განმავლობაში | 383,260 | 758,096 |
| **სულ** | **1,807,545** | **3,026,207** |

31 დეკემბრით დასრულებული 2017 და 2016 წლების საანგარიშო პერიოდებში კომპანიამ მოგებისა ან ზარალის და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარა 917,420 ლარისა და 931,151 ლარის საოპერაციო იჯარის ხარჯი.

### ცვლილებები საქართველოს კანონმდებლობაში

2017 წლის 23 დეკემბერს კანონში მიკროსაფინანსოების შესახებ შევიდა შემდეგი ცვლილებები:

- მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ გაცემული მიკროკრედიტის მაქსიმალური ჯამური ოდენობა ერთ მსესხებელზე არ უნდა აღემატებოდეს 100,000 (ასი ათას) ლარს (ძველი ვერსიის მიხედვით გაცემული სესხის მაქსიმალური ოდენობა იყო 50,000 ლარი)
- პირის მიკროსაფინანსო ორგანიზაციად რეგისტრაციისათვის მისი განაღდებული კაპიტალის მინიმალური ოდენობა არ უნდა იყოს 1,000,000 (ერთ მილიონ) ლარზე ნაკლები (ძველი ვერსიის მიხედვით განაღდებული კაპიტალის მინიმალური ოდენობა არ აღემატებოდა 250,000 ლარს). განაღდებული კაპიტალი მხოლოდ ფულადი ფორმით უნდა იყოს შევსებული.
- განსაზღვრული განაღდებული კაპიტალის მინიმალური ოდენობა არსებულმა მიკროსაფინანსო ორგანიზაციებმა უნდა შეავსონ 2019 წლის 1 ივლისამდე შემდეგი თანამიმდევრობით:

  ა) არანაკლებ 500 000 (ხუთასი ათასი) ლარისა – 2018 წლის 1 სექტემბრამდე;

  ბ) არანაკლებ 1,000,000 (ერთი მილიონი) ლარისა – 2019 წლის 1 ივლისამდე.

**24. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)**

წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, კომპანია იყენებს განსაზღვრულ საკრედიტო პოლიტიკას, რომელიც მოიცავს რისკის მართვის შემდეგ ძირითად ეტაპებს:

- საკრედიტო კომიტეტის დავალებები;
- გაცემული სესხების მონიტორინგი;
- ისეთ სესხებთან მუშაობა, რომელთა სახელშეკრულებო პირობები დაირღვა.

საკრედიტო კომიტეტი არის ანალიტიკური ორგანო, რომელსაც ევალება კომიტეტზე წარმოდგენილი სესხის განაცხადში მოცემული ინფორმაციის ანალიზი, საკრედიტო რისკების განსაზღვრა და მინიმუმამდე დაიყვანა. ის დამოუკიდებელია და წარმოადგენს მისო–ს ერთადერთ ორგანოს, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება არსებული სესხის განაცხადის დაფინანსება/არდაფინანსების შესახებ.

კომიტეტზე წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებელია სესხის ოფიცერი, რომელიც კლიენტის ბიზნესის დეტალურად შესწავლისა და მისი საკრედიტო რისკის პირველადი შეფასების საფუძველზე ავსებს სასესხო განაცხადს. შედეგად, კომიტეტის წევრები კრიტერიუმების მიხედვით (კლიენტის საკრედიტო ისტორია; ფინანსური მდგომარეობა; ბიზნესის კონკურენტუნარიანობა და ა.შ.) ქულებით აფასებენ სესხის განაცხადს.

საკრედიტო რისკის შემცირება ხდება ასევე სესხის, უძრავი ქონებით, ან სხვა მატერიალურად ფასეული ნივთით უზრუნველყოფის საფუძველზე.

მომხმარებლის კრედიტუნარიანობის ანალიზი და მისი საქმიანობის შესწავლა ამცირებს ფინანსური ზარალის რისკს. მონიტორინგს ახორციელებენ კრედიტ ოფიცრები, რომლებიც მენეჯმენტთან არიან ანგარიშვალდებულნი. კომპანია არ იყენებს მონიტორინგის მკაცრად განსაზღვრულ გრაფიკს.

საკრედიტო რისკის მატარებელი ფინანსური აქტივების მაქსიმალური მოცულობა შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

| | 31 დეკემბერი 2017 | 31 დეკემბერი 2016 |
|---|---|---|
| ფული და ფულის ეკვივალენტები (ნაღდი ფულის გამოკლებით) | 2,485,541 | 229,823 |
| გაცემული სესხები | 35,265,472 | 30,193,905 |
| **სულ საკრედიტო რისკის მატარებლები** | **37,751,013** | **30,423,728** |

კომპანიის საკრედიტო განყოფილება რეგულარულად აკეთებს სესხების ვადიანობის ანალიზს. ხელმძღვანელობას მართებულად მიაჩნია ვადიანობის ანალიზის და სხვა საკრედიტო რისკთან დაკავშირებული ინფორმაციის წარდგენა ისეთი სახით, როგორც წარდგენილია მე-13 შენიშვნაში.

**საბაზრო რისკი**

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით.

საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი).

- **საპროცენტო განაკვეთის რისკი**

საპროცენტო განაკვეთის რისკი შეიძლება წარმოშვას ბაზარზე არსებულმა საპროცენტო განაკვეთების ცვლილებამ, რამაც , შესაძლოა, უარყოფითად იმოქმედოს ორგანიზაციის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე. რისკი შეიძლება წარმოშვას ვალდებულებების შესრულების ვადების შეუსაბამობამ, ასევე, ასეთი აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასების შესაძლებლობამ.

## 24. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

- სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი არანაკლებ გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსური რისკების განსაზღვრაში. კომპანია ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც ატარებენ სავალუტო რისკს წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| | ლარი | აშშ დოლარი | ევრო | სულ |
|---|---|---|---|---|
| **ფინანსური აქტივები** | | | | |
| ფული და ფულის ეკვივალენტები | 590,690 | 2,606,677 | 3,978 | **3,201,345** |
| გაცემული სესხები | 25,225,510 | 10,007,956 | 32,006 | **35,265,472** |
| **სულ ფინანსური აქტივები** | **25,816,200** | **12,614,633** | **35,984** | **38,466,817** |
| **ფინანსური ვალდებულებები** | | | | |
| მიღებული სესხები | 2,349,606 | 31,797,655 | 2,097,979 | **36,245,240** |
| სუბორდინირებული სესხები | 919,561 | 1,037,842 | - | **1,957,403** |
| სხვა ვალდებულებები | 285,794 | - | - | **285,794** |
| **სულ ფინანსური ვალდებულებები** | **3,554,961** | **32,835,497** | **2,097,979** | **38,488,437** |
| **ღია საბალანსო პოზიცია** | **22,261,239** | **(20,220,864)** | **(2,061,995)** | **(21,620)** |

| | ლარი | აშშ დოლარი | ევრო | სულ |
|---|---|---|---|---|
| შეზღუდული ფული ბანკში* | - | 19,441,165 | 2,179,288 | **21,620,453** |
| სესხები უზრუნველყოფილი შეზღუდული ფულით* | 20,656,040 | 56,692 | - | **20,712,732** |

*დეტალები შეზღუდულ ფულსა და სესხების უზრუნველსაყოფად ბანკში ჩადებულ თანხებზე შეგიძლიათ იხილოთ მე-12 შენიშვნაში.

## 24. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტებში:

| | ლარი | აშშ დოლარი | ევრო | სულ |
|---|---|---|---|---|
| **ფინანსური აქტივები** | | | | |
| ფული და ფულის ეკვივალენტები | 313,690 | 730,822 | 24,273 | **1,068,785** |
| გაცემული სესხები | 8,982,239 | 21,158,071 | 53,595 | **30,193,905** |
| **სულ ფინანსური აქტივები** | **9,295,929** | **21,888,893** | **77,868** | **31,262,690** |
| **ფინანსური ვალდებულებები** | | | | |
| მიღებული სესხები | 1,240,017 | 26,877,015 | 2,922,357 | **31,039,389** |
| სუბორდინირებული სესხები | - | 1,061,084 | - | **1,061,084** |
| სხვა ვალდებულებები | 100,711 | - | - | **100,711** |
| **სულ ფინანსური ვალდებულებები** | **1,240,017** | **27,938,099** | **2,922,357** | **32,201,184** |
| **ღია საბალანსო პოზიცია** | **8,055,912** | **(6,049,206)** | **(2,844,489)** | **(938,494)** |

| | ლარი | აშშ დოლარი | ევრო | სულ |
|---|---|---|---|---|
| შეზღუდული ფული ბანკში* | - | 6,127,342 | 1,961,947 | **8,089,289** |
| სესხები უზრუნველყოფილი შეზღუდული ფულით* | 6,975,979 | - | - | **6,975,979** |

*დეტალები შეზღუდულ ფულსა და სესხების უზრუნველსაყოფად ბანკში ჩადებულ თანხებზე შეგიძლიათ იხილოთ მე-12 შენიშვნაში.

**სავალუტო რისკის მგრძნობელობა**

მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიის მგრძნობელობას აშშ დოლარის და ევროს ლართან მიმართებაში 20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება მენეჯმენტის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას მენეჯენტის მიერ. მგრძნობიარობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ ცნობილი უცხოურ ვალუტაში გამოსახულ ფულად აქტივებს და აკორექტირებს მათ კონვერტაციას პერიოდის ბოლოს 20%-ის სხვაობით უცხოურ ვალუტაში.

2017 და 2016 წლის 31 დეკემბერს ნეტო მოგებაზე და კაპიტალზე გავლენა დამყარებული აქტივების ღირებულებაზე:

| | 31 დეკემბერი 2017 | | 31 დეკემბერი 2016 | |
|---|---|---|---|---|
| **გაცვლითი კურსის მგრძნობელობა შეზღუდული ფულის და მიღებული სესხების უზრუნველსაყოფად ბანკში ჩადებული თანხების ეფექტის ჩათვლით** | +20% | -20% | +20% | -20% |
| აშშ დოლარის ეფექტი | (167,278) | 167,278 | 15,627 | (15,627) |
| ევროს ეფექტი | 23,459 | (23,459) | (176,508) | 176,508 |
| **მთლიანი წმინდა ეფექტი** | **(143,819)** | **143,819** | **(160,881)** | **160,881** |

**ლიკვიდობის რისკი**

ლიკვიდობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიას შეექმნება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს კომპანიის ფუნქციონირებაზე.

ლიკვიდობის რისკის გასანეიტრალებლად, მენეჯმენტი რეგულარულად აკონტროლებს მომავალ ფულად ნაკადებს. ლიკვიდობის ანალიზი მოცემულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში. ქვემოთ

## 24. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

მოყვანილი ინფორმაცია დაფუძნებულია მენეჯმენტის მიერ მომზადებულ ინფორმაციაზე.

ფინანსური ვალდებულებების ლიკვიდობა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

| ფინანსური ვალდებულებები | 1 თვემდე | 1-3 თვემდე | 3 თვიდან 1 წლამდე | 1 წლიდან 2 წლამდე | 2 წლიდან 5 წლამდე | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|
| მიღებული სესხები | 1,039,669 | 4,864,566 | 10,694,037 | 17,456,566 | 2,190,402 | **36,245,240** |
| სუბორდინირებული სესხები | 6,555 | - | 22,446 | 232,002 | 1,696,400 | **1,957,403** |
| სხვა ვალდებულებები | 64,272 | - | - | - | - | **64,272** |
| **სულ ვალდებულებები** | **1,110,496** | **4,864,566** | **10,716,483** | **17,688,568** | **3,886,802** | **38,266,915** |
| საიჯარო გადასახდელები | 77,186 | 154,372 | 583,770 | 608,957 | 383,260 | **1,807,545** |

ფინანსური ვალდებულებების ლიკვიდობა 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

| ფინანსური ვალდებულებები | 1 თვემდე | 1-3 თვემდე | 3 თვიდან 1 წლამდე | 1 წლიდან 2 წლამდე | 2 წლიდან 5 წლამდე | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|
| მიღებული სესხები | 2,296,654 | 2,831,969 | 18,950,369 | 6,675,230 | 285,167 | **31,039,389** |
| სუბორდინირებული სესხები | 17,313 | 12,842 | - | - | 1,030,929 | **1,061,084** |
| სხვა ვალდებულებები | 52,724 | - | - | - | - | **52,724** |
| **სულ ვალდებულებები** | **2,366,691** | **2,844,811** | **18,950,369** | **6,675,230** | **1,316,096** | **32,153,197** |
| საიჯარო გადასახდელები | 122,096 | 244,192 | 878,023 | 1,023,800 | 758,096 | **3,026,207** |

### კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას კომპანია მიზნად ისახავს:

- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსის შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს მეწილეებისათვის სარგებლის მოტანა;
- დააკმაყოფილოს ეროვნული ბანკისა და მსესხებლების მოთხოვნები კაპიტალთან მიმართებაში; და
- გამოიმუშაოს მეწილეებისათვის სარგებელი რისკის დონის თანაბარზომიერად მომსახურების შეფასებით.

კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს და აკორექტირებს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების გათვალისწინებით. აღნიშნულის განსახორციელებლად, შესაძლებელია კომპანიამ დააკორექტიროს მეწილეებისათვის გადასახდელი დივიდენდების თანხა, დაუბრუნოს კაპიტალი მეწილეებს, გამოუშვას ახალი აქციები, ან გაყიდოს აქტივები ვალის დაფარვის მიზნით.

| | 31 დეკემბერი 2017 | 31 დეკემბერი 2016 |
|---|---|---|
| მთლიანი ვალდებულებები | 38,488,437 | 32,391,550 |
| მთლიანი კაპიტალი | 4,917,216 | 3,812,202 |
| **ვალდებულებები კაპიტალთან თანაფარდობის კოეფიციენტი (%)** | **783%** | **850%** |

კომპანია თანხვედრაშია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაწესებულ საწესდებო კაპიტალის მინიმალურ მოთხოვნებთან 250,000 ლარის ოდენობით, 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით.

## 25. წინა პერიოდის რეკლასიფიკაცია

წარდგენის მიზნებისათვის, კომპანიამ გადაწყვიტა რეალური ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ ინსტრუმენტებთან მოგება-ზარალში ასახვით დაკავშირებული შემდეგი ოპერაციები - საპროცენტო ხარჯები, სხვა წმინდა შემოსავალი და კურსთაშორის სხვაობიდან წარმოშობილი წმინდა მოგება (ზარალი), წარედგინა საპროცენტო ხარჯებში და კურსთაშორის სხვაობიდან წარმოშობილ მოგებაში (ზარალში).

| | ნაშთი რეკლასიფიკაციამდე | რეკლასიფიკაცია | ნაშთი რეკლასიფიკაციის შემდეგ |
|---|---|---|---|
| საპროცენტო ხარჯი | (2,898,550) | (197,459) | (3,096,009) |
| სხვა შემოსავალი, წმინდა | 23,540 | 9,659 | 33,199 |
| წმინდა შემოსავალი რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინტრუმენტებიდან მოგება-ზარალში | 516,451 | (516,451) | - |
| კურსთაშორის სხვაობიდან წარმოშობილი მოგება (ზარალი), წმინდა | (745,119) | 704,251 | (40,868) |

## 26. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან როგორც წარმოდგენილია ბასს 24-ში „ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებზე" წარმოადგენს:

ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით: აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ კომპანიასთან (მათ შორის დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან); ფლობენ წილს კომპანიაში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია; და ფლობენ საერთო კონტროლს კომპანიაზე;

ბ) კომპანიის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს;

გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;

დ) მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კოტროლირებად ან ერთობლივარ კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დაკავშირებული მხარეების შენიშვნა შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

| ფინანსური ანგარიშგების მუხლი | შენიშვნა | მფლობელები | უმაღლესი მენეჯმენტი | სხვა დაკავშირებული მხარე | მთლიანი ჯამი ფანასური ანგარიშგების მუხლის მიხედვით |
|---|---|---|---|---|---|
| სესხები | 19 | 1,895,358 | - | 374,331 | **36,245,240** |
| სუბორდინირებული სესხები | 20 | 1,718,846 | - | 238,557 | **1,957,403** |
| საპროცენტო ხარჯი | 5 | 367,102 | - | 69,954 | **4,206,468** |
| პერსონალის ხარჯი (ხელფასის და ბონუსების ჩათვლით) | 8 | - | 291,000 | - | **2,651,414** |

## 26. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დაკავშირებული მხარეების შენიშვნა შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

| ფინანსური ანგარიშგების მუხლი | შენიშვნა | მფლობელები | უმაღლესი მენეჯმენტი | სხვა დაკავშირებული მხარე | მთლიანი ჯამი ფანასური ანგარიშგების მუხლის მიხედვით |
|---|---|---|---|---|---|
| სესხები | 19 | 2,713,488 | - | 500,046 | **31,039,389** |
| სუბორდინირებული სესხები | 20 | 816,019 | - | 245,065 | **1,061,084** |
| საპროცენტო ხარჯი | 5 | 421,564 | - | 99,130 | **3,096,009** |
| პერსონალის ხარჯი (ხელფასის და ბონუსების ჩათვლით) | 8 | - | 266,375 | - | **2,674,316** |

## 27. ბალანსის შემდგომი მოვლენები

2018 წლის თებერვალი - მაისის პერიოდში, კომპანიამ დამატებით მიიღო ფულადი სახსრები შემდეგი ფონდებისგან: Frankfurt School Financial Services, BlueOrchard Microfinance Fund და Triple Jump Innovation Fund ოდენობით 2,000,000 აშშ დოლარი, 2,000,000 აშშ დოლარი და 1,000,000, აშშ დოლარი, შესაბამისად. საპროცენტო განაკვეთები ამ სესხებზე შეადგენს 8.25%-8.5%.

2018 წლის აპრილში, კომპანიამ დანერგა ახალი პროგრამა ალტა, რომელიც დაკრედიტების პროცესს უფრო მოქნილსა და მარტივს გახდის. ახალი პროგრამა კომპანიას დაეხმარება ისეთი საკრედიტო და არასაკრედიტო პროდუქტების დივერსიფიცირებისას, როგორიცაა: პლასტიკური ბარათები, ფულადი გზავნილები, ინტერნეტ და მობილური ბანკინგი, ხოლო გაყიდვები განხორციელდება ტაბლეტების საშუალებით.